საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 13 დეკემბერი. 2017 წ. №252 (8389), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქეთევან ბოჭორიშვილი:

„ანაკლია სითი“ იქნება ქალაქი, სადაც ბევრი თბილისიდან გადავა საცხოვრებლად!

③

მივჩანჩალებთ სამარისკენ?!

ლიბერალიზმი და პატრიოტიზმი

④-⑤



მეძღოლებო,

⑪

მოემზადეთ ძველი მანქანების ჯართში ჩასაბარებლად!

ელონ მასკი

⑫

გვირაბებში რევოლუციის მოსდენისთვის ემზადება

ეჭვმიტანილი მიხეილ სააკაშვილი დაკითხვაზე დაიბარეს

უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილი 18 დეკემბერს ეჭვმიტანილის სტატუსით დაკითხვაზე დაიბარა. **„უკრაინის პროცესუალური კოდექსის 133-ე და 135-ე მუხლების მოთხოვნების შესაბამისად, 2017 წლის 18 დეკემბერს, 09:30 საათზე უნდა გამოცხადდეს უკრაინის გენერალურ პროკურატურაში“**, — ნათქვამია უწყების საიტზე გამოქვეყნებულ განცხადებაში. უწყებაში ასევე აღნიშნულია, რომ პროკურორმა დომბროვსკიმ სააკაშვილი უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით უნდა დაკითხოს.

სამართლებრივ დავებს აწესრიგებს კანონი და არა - ნაცნობ-მეგობრობა!

სამართლებრივ სახელმწიფოში კანონი არის უზენაესი და პირადად მე, ჩვენს პოლიტიკურ გუნდთან ერთად, ვარ გარანტი, რომ ამ ქვეყანაში კანონზე მაღლა ვერავინ დადგება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სახელმწიფო შესყიდვებში უსამართლო პირობების არსებობასთან დაკავშირებით „უცნობის“ მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას განაცხადა. პრემიერის შეფასებით, აღნიშნულ საკითხს მხოლოდ სამართლებრივი განზომილება აქვს და მსგავსი დავები კანონით რეგულირდება.

„უცნობმა“ გუშინ გამართულ ბრიფინგზე სახელმწიფო შესყიდვებში უსამართლო პირობების არსებობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ცალკეულ კერძო კომპანიებთან კარტელური გარიგებები აკავშირებს.

ბურჭულაძეს პროკურატურისთვის ჯერ არ სცალია!

პაატა ბურჭულაძე ფონდ „იავნანადან“ თანხების გაფლანგვის ბრალდებასთან დაკავშირებით, მოსამართლის თანდასწრებით დაკითხვას ითხოვს. ბურჭულაძე დღეს პროკურატურაში არ გამოცხადდება.

მისი ადვოკატის სოსო ბარათაშვილის განმარტებით, ბურჭულაძე გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის მზად არის, თუმცა დატვირთული გრაფიკის გამო, საქართველოში ჩამოსვლას ჯერჯერობით ვერ ახერხებს.

„ბატონი პაატა მზად არის მისცეს ჩვენება, ოღონდ ამ ჩვენებას მისცემს სასამართლოში. ინფორმირებულია პროკურატურა ამის შესახებ, მაგრამ კონკრეტულად რომელ დღეს მისცემს სასამართლოში ჩვენებას, ეს უკვე არის შეთანხმების საგანი და რამდენიმე დღეში ეს შეთანხმებაც მოხდება. რასაკვირველია, არის თანამშრომლობა საგამოძიებო ორგანოსთან, ოღონდ ეს არის სასამართლოს გზით,“ — განმარტა სოსო ბარათაშვილმა.

დავიცვათ ბავშვები ინტერნეტ-საფრთხეებისგან!!!

„როგორ დავიცვათ ბავშვები ინტერნეტში არსებული მავნე ინფორმაციისგან?“ — აღნიშნულ თემაზე საკანონმდებლო ორგანოს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ექსპერტებთან ერთად, „გაეროს ბავშვთა ფონდის“ მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე იმსჯელეს. პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დიმიტრი ხუნდაძემ მისი ინიციატივით მომზადებულ კანონპროექტზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ კანონპროექტი საბოლოო ექსპერტიზას გადის, რომლის შემდეგაც მისი ინიცირება პარლამენტში მოხდება.

როგორც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა, ფართო კონსულტაციების, ექსპერტების, სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირების აქტიური მონაწილეობით შემუშავებული კანონპროექტი ერთადერთი გამოსავალია, რომელმაც პროვაიდერები უნდა აიძულოს, ინტერნეტსივრცე ხიფათის შემცველი ინფორმაციისგან გაათავისუფლოს, რათა არასრულწლოვნები ამ ტიპის ინფორმაციისგან დავიცვათ.

„ის, რაც დაუშვებელია ინტერნეტს მიღმა, დაუშვებელი უნდა იყოს ინტერნეტშიც. ცვლილებები შედის კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და კანონში „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“. კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა იმ რეალურმა ვითარებამ განაპირობა, რაც ინტერნეტიდან მომდინარე საფრთხეებს უკავშირდება. ინიციატივის მიზანია არასრულწლოვანთა დაცვა ინტერნეტსივრცეში ისეთი სახის ინფორმაციისაგან, რომელმაც შეიძლება, ზიანი მიაყენოს მათ ჯანმრთელობას და განვითარებას. რაც შეეხება რისკის ტიპებს, ესენია: კონტენტისა და კონტაქტის რისკები (პორნოგრაფია და ა.შ.); სამომხმარებლო რისკები (ონლაინ მარკეტინგი, ყალბი ტრანზაქციები და ა.შ.) და პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები (სოციალური ქსელების გამოყენება პოტენციური გრძელვადიანი შედეგების გააზრების გარეშე). კანონპროექტის მიზანი ბავშვებისათვის უფრო მეტად დაცული ვირტუალური სამყაროს შექმნაა. გვსურს, ინტერნეტი გავხადოთ უსაფრთხო ადგილი, სადაც ყველა ასაკის ბავშვი შეძლებს ახალი ტექნოლოგიების თითოეული სპექტრისა და შესაძლებლობის გამოყენებას“, — განაცხადა ხუნდაძემ.

პრემიერი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განვითარების სტრატეგიის პრეზენტაციას დაესწრო

სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის უმთავრესი ინსტიტუციური იარაღი პარლამენტისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს კარგი მმართველობა, გამჭვირვალობა, რესურსების ეფექტური გამოყენება და ხარჯვა და, რა თქმა უნდა, ეფექტურობის კონტროლიც, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განვითარების სტრატეგიის პრეზენტაციის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

პრემიერმა ხაზი გაუსვა აუდიტის სამსახურის ეფექტურობისა და მისი რეკომენდაციების გაზიარების მნიშვნელობას, განსაკუთრებით დღევანდელ კონტექსტში, როდესაც ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე გადადის. გიორგი კვირიკაშვილმა მადლობა გადაუხადა დონორებს, რომლებიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ძალიან მნიშვნელოვანი ინსტიტუციური განვითარების პროექტში – სტრატეგიის განხორციელებაში ეხმარებიან, მათ შორის, პირველ რიგში, ევროკავშირს, ასევე – GIZ-ს, მსოფლიო ბანკს და USAID-ს. მთავრობის მეთაურმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსის მაღალი დონის პროფესიონალიზმსა და რეპუტაციაზე.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ სამსახურის უფროსად შერჩეულია პიროვნება, რომელსაც, პრაქტიკულად, მთელმა პარლამენტმა დაუჭირა მხარი და მის პროფესიონალიზმსა და დამოუკიდებლობის ხარისხთან დაკავშირებით არც ერთი კითხვა არ დასმულა. ბატონი ირაკლი მექვაბიშვილის გამოცდილება და რეპუტაცია არის ძალიან მაღალი. მოხარული ვარ, რომ ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა შეძლო, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსად შერჩეულია დამოუკიდებელი კანდიდატი მაღალი პროფესიონალიზმის ნიშნით“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

პროექტი „საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება“, რომელიც 2018-2022 წლებისთვის არის გაწერილი, გენერალურმა აუდიტორმა ირაკლი მექვაბიშვილმა წარადგინა.

„საზოგადოება, რომელშიც მოჭარბებულია აგრესია და ცინიზმი, სწორ გზას ასეთი პროექტების შედეგად პოულობს“

საქართველოს პრეზიდენტმა „2017 წლის წინანდლის პრემიის“ დაჯილდოების ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა.

„წინანდლის პრემია“ საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ხელშეწყობით 2014 წელს აღდგა და უკვე მეოთხე წელია მისი პატრონაჟით და ზურაბ ჟვანიას სახელობის ფონდის მხარდაჭერით იმართება. ახალგაზრდა შემოქმედებისთვის პრემიის დაწესების იდეა 1998 წელს წინანდალში გაჩნდა. პროექტს თავიდანვე აქტიურად დაუჭირა მხარი პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, რომლის პატრონაჟით ხორციელდებოდა „წინანდლის პრემია“.

სწორედ ზურაბ ჟვანიას გახსენებით დაიწყო საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა დაჯილდოების ცერემონიაზე მისასალმებელი სიტყვა და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ბევრი პრობლემის წინაშე მდგარი საზოგადოება, საზოგადოება, რომელშიც მოჭარბებულია ხშირად აგრესია, ცინიზმი, საზოგადოება, რომელიც ხშირად გამოსავალს უფრო ასეთ ეფემერულ ნაბიჯებში ხედავს, სწორედ ასეთი პროცესების შედეგად, სწორ გზას პოულობს თავისი თავის განხორციელების. ეს არის ადგილი, სადაც ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდები ახორციელებენ იმას, რაც შეიძლება იყოს ადამიანის დანიშნულება, შემოქმედება“, – აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა. გიორგი მარგველაშვილმა მადლობა გადაუხადა ნინო ჟვანიას ამ პროექტის განხორციელებისა და ახალგაზრდების წახალისებისათვის, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მომავლის მშენებლობაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ.

„წინანდლის პრემია“ ემსახურება თანამედროვე ხელოვნებასა და მეცნიერებაში არსებულ მიღწევათა პოპულარიზაციას და ხელს უწყობს ახალგაზრდა, ნიჭიერ და პერსპექტიულ შემოქმედთა შესაძლებლობების რეალიზებას. წინანდლის პრემია ენიჭებათ 18-30 წლის ახალგაზრდა მეცნიერებსა და ხელოვანებს წლის მანძილზე განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტებისათვის შემდეგ ნომინაციებში: თეატრალური ხელოვნება, კინოხელოვნება, მხატვრული ლიტერატურა (პროზა, პოეზია), მუსიკა, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სახვითი ხელოვნება და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.

„ძველი ბიჭის“ პარანოიდული მოჩვენებები

„თუ ხელი წაუცდებათ ექსტრადირებაზე, საქართველოში უფრო სწრაფად მოვაყომარებთ საქმეს, ვიდრე უკრაინაში“, – თქვა უკვე მეორედ გათავისუფლებულმა საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა კიევში, სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ.

მოხდება თუ არა საქართველოში მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირება? – როგორც ცნობილია, სააკაშვილის წინააღმდეგ საქართველოში ოთხი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და ქართული მხარე უკვე წლებია, მის ექსტრადიციას ითხოვს. ექსპრეზიდენტის ქართველი ადვოკატები ამბობენ, რომ მიხეილ სააკაშვილის დაკავება, უკრაინის პრეზიდენტისთვის სერიოზულ პოლიტიკურ პრობლემად იქცა და დღეს პოროშენკო სააკაშვილის საკითხის, როგორც პრობლემის მოგვარებას საქართველოში ექსტრადიციის გზით ცდილობს. ჯერ კიდევ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევისა და უკრაინაში მისი დაბრუნების შემდეგ, უკრაინის გენერალური პროკურორი ამბობდა რომ აპატრიდი სააკაშვილის ქვეყნიდან გაძევების ყველანაირი საფუძველი არსებობდა. თუმცა, ექსტრადირებასთან დაკავშირებით ოფიციალური პასუხი, საქართველოს შესაბამის უწყებებს ჯერ არ მიუღია. თუმცა საუბარია იმაზეც, რომ საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებებს შორის, ყოფილი პრეზიდენტის ექსტრადიციაზე გარკვეული პოლიტიკური შეთანხმება არსებობს.

თემას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გუშინ გამოეხმაურა და განმარტა, რომ **ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საკითხი პოლიტიკურ დონეზე არ განიხილება.**

ამ თემას იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი გამოეხმაურა. **„ჩვენ უკრაინული მხარისგან ჯერჯერობით არ მიგვიღია რაიმე ტიპის პასუხი ექსტრადიციის მოთხოვნაზე. უკრაინაში მიმდინარე პროცესებს ყველანი ერთად ვაკვირდებით მედიასაშუალებების დახმარებით. ვხედავთ, რომ დაკავებულის მიმართ უკრაინაშიც მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი პროცესი. გადაწყვეტილების მოლოდინშია უკრაინაში ყველა, ვნახოთ, რა იქნება“,** – აღნიშნა წულუკიანმა.

გუშინ უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ ირონიული ღიმილით განმარტა, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ და ზემდგომ ინსტანციას დაუმტკიცებენ, რომ ავანტიურისტ მიშა სააკაშვილის შინა პატიმრობა აუცილებელია!

ასე რომ, პროვოკატორ სააკაშვილის ბედი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის!!! უკრაინასა და საქართველოში მიშას მომხრეები ნაადრევად ზეიმობენ „გამარჯვებას“.

იმედია, უკრაინა სააკაშვილის ავანტიურას არ წამოეგება!

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ეკა ბესელია იმედოვნებს, რომ სააკაშვილის „ავანტიურას“ უკრაინა არ წამოეგება, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილად პროგნოზირებადია, რას მოუტანს ეს ავანტიურა უკრაინას. ბესელია უკრაინაში მიმდინარე პროცესებს „მძიმეს“ უწოდებს.

„პოლიტიკური თვალსაზრისით ის, რაც ხდება ჩვენს მეგობარ, პარტნიორ ქვეყანაში, დრამატული სურათია, ჩვენთვის, ქართველებისთვის კარგად ნაცნობი, რადგან იოლად პროგნოზირებადია, რას მოუტანს უკრაინას სააკაშვილის ასეთი ავანტიურა. ეს არის კარგად წაკითხული წიგნი, სცენარი, რომელიც არაერთხელ ვიხილეთ ჩვენს საკუთარ ქვეყანაში. იმედი მაქვს, რომ უკრაინელი ხალხი და უკრაინა, როგორც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო, ამ ავნტიურას არ წამოეგება.

ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის ბრალდება – რუსულ კავშირებთან სააკაშვილის ბმა, რაშიც მას ბრალი აქვს წაყენებული, თუმცა ეს დადასტურდება თუ არა, სასამართლოს საქმეა და სასამართლო განსჯის, მაგრამ ეს მაინც არის საყურადღებო. რადგან მთელი ეს პროცესი ბუნებრივია, ძალიან ბევრ კითხვას და ეჭვს აჩენს. რაც შეეხება სამართლებრივ პროცედურებს სააკაშვილთან დაკავშირებით, ამაზე პროკურატურამ და იუსტიციის სამინისტრომ არაერთხელ გააკეთა განცხადება. პოლიტიკური გუნდი და პარლამენტი, ბუნებრივია, ამ პროცესებში არ ჩავერევით,“ – განაცხადა ბესელიამ.

<u>იან კელი:</u> სახელმწიფო დეპარტამენტი სააკაშვილის საქმეს ყურადღებით აკვირდება

აშშ-ის ელჩი საქართველოში, იან კელი აცხადებს, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებულ მოვლენებს ყურადღებით აკვირდება. კელის თქმით, მთავარია, რომ სამართლიანი სამართლებრივი პროცესი წარიმართოს:

„პირველ რიგში გეტყვით, რომ ჩვენ ძალიან ყურადღებით ვაკვირდებით ამ საკითხს, ყურადღებით აკვირდება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და ჩემი კოლეგა უკრაინაში. მთავარი ამ საკითხში არის ის, რომ სამართლიანი სამართლებრივი პროცესი წარიმართოს და ყველა ამას დააკვირდება.

რაც შეეხება ამ მოვლენების ასახვას საქართველოზე, ის არის საქართველოს ყოფილი მეთაური. ჩვენი ინტერესია, საქართველოს დავეხმაროთ, წინ წავიდეს, განვითარდეს და გახდეს უფრო წარმატებული. ძალიან გვიხარია, რომ საქართველო ფოკუსირებულია მომავალზე“, – განაცხადა იან კელიმ.

„რუსთავი-2“-ის საქმეზე სტრასბურგი ახალ კითხვებს გვისვამს!..

„რუსთავი-2“-ის საქმეზე სტრასბურგის მიერ საქართველოსთვის გადმოგზავნილ კითხვებზე პასუხის გასაცემად იუსტიციის სამინისტროს დრო 29 მარტამდე აქვს. თუმცა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ხელისუფლება მიცემულ ვადას სრულად არ გამოიყენებს.

თეა წულუკიანის თქმით, სტრასბურგში დოკუმენტის გადაგზავნას უწყება მალევე შეძლებს, რის შემდეგაც პასუხები მოსარჩელეს გადაეგზავნება და კონტრარგუმენტების წარსადგენი ვადა განესაზღვრება.

„ევროპულმა სასამართლომ დაიწყო „რუსთავი-2“-ის მიერ შეტანილი საჩივრის დასაშვებობის განხილვა, ჩვენ გამოგვეგზავნა შეკითხვები თითოეულ მომჩივანთან მიმართებაში. მაგალითად, ევროპული სასამართლო გვეკითხება, ამოწურა თუ არა „რუსთავი-2“-მა შიდა სამართლებრივი გასაჩივრების გზები. თუ ამაზე პასუხი იქნება – არ ამოუწურავს, მაშინ, რა თქმა უნდა, დადგება დაუშვებლობის შესახებ შუამდგომლობაც.

ჩვენ ვართ მხარეები, რა თქმა უნდა, ვიდავებთ და საბოლოო ჯამში ევროპული სასამართლო მიიღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას. ჩვენ ვადა გვაქვს 29 მარტამდე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ უფრო ადრეც შევძლებთ პასუხების გაგზავნას“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲑᲝᲭᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

„ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲐ ᲡᲘᲗᲘᲗ“ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲕᲐ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓ!

ᲠᲐ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲡ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲡ „ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲘᲡ ᲦᲠᲛᲐᲬᲧᲚᲝᲕᲐᲜᲘ �პᲝᲠᲢᲘ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ? – ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ ᲡᲐᲐᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲐ ᲡᲘᲗᲘᲡ“ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲫᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲑᲝᲭᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის იდეა ჩვენს ქვეყანაში წინა საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული არსებობდა, თუმცა დღემდე ეს პროექტი ვერ განხორციელდა. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი დიდი გემების მიღებას შეძლებს, რაც დღემდე არსებული პორტების პირობებში შეუძლებელი იყო. დიდი გემების შემთხვევაში გადაზიდვა უფრო ეფექტურია, უფრო სწრაფი და იაფი. რა თქმა უნდა, ამ დერეფნის გამოყენებით უკვე დაინტერესდნენ მსხვილი კომპანიები, რაც ჩვენს ქვეყანაში ძალიან დიდ პოტენციალს აჩენს.

– ბათუმისა და ფოთის პორტების გამოყენება რატომ არ იყო შესაძლებელი?

– დღევანდელ პორტებს 8-მეტრიანი სიღრმე აქვს, რომელიც მხოლოდ 1500 TEU-ს მოცულობის გემების მიღების საშუალებას იძლევა.

ჩვენი ამოცანაა, ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტში მივიღოთ 10 000 TEU-ს მოცულობის გემები, რაც იმას ნიშნავს რომ, საქართველოს მიმართ ინტერესი ბევრად უფრო გაიზრდება.

ჩვენ შეგვიძლია, გავხდეთ კარიბჭე ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის. ასევე, ევროპასა და სამხრეთის ქვეყნებს შორის, მაგალითად, ირანისა და ინდოეთის მიმართულებით.

2014 წელს იაპონურმა კომპანია OC Global და Padeco-ს კონსორციუმმა განახორციელა კვლევა იმის დასადგენად, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ღრმაწყლოვანი პორტი საქართველოსათვის და თუ სად უნდა ყოფილიყო ის. კვლევამ აჩვენა, რომ მსგავსი ინფრასტრუქტურა ქვეყნის განვითარებისთვის იყო აუცილებელი.

პორტი დიდი სტიმული იქნება ქვეყნის ეკონომიკისთვის, კიდევ უფრო დიდი ბიძგი კი იქნება პორტის მიმდებარე ტერიტორია, სადაც ლოგისტიკური ცენტრები, წარმოებები და ინფრასტრუქტურა განვითარდება. „ანაკლია სითი“ და ეკონომიკური ზონა ათასობით სამუშაო ადგილს შექმნის. საინვესტიციო ხელშეკრულების მიხედვით, მთავრობამ უნდა გაიყვანოს საგზაო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა პორტამდე და ეკონომიკურ ზონამდე. როდესაც ამხელა ინფრასტრუქტურა იქმნება, მნიშვნელოვანია, რომ გადადინების ეფექტი მასშტაბური იყოს.

– რამდენმა კომპანიამ მიიღო ტენდერში მონაწილეობა და რამდენი მფლობელი ეყოლება ანაკლიის პორტს?

– 12-მა კომპანიამ. 2016 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და საინვესტიციო ხელშეკრულება გააფორმა ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან, რომელიც ორი ძალიან მსხვილი კომპანიისგან შედგება. დამფუძნებლები არიან „თიბისი ჰოლდინგი“, რომელსაც საქართველოში არაერთი წარმატებული პროექტი აქვს წამოწყებული, მაგალითად, „ბორჯომი“, „თიბისი ბანკი“, ასევე, უძრავი ქონებისა და სასტუმროების ბიზნესი. მეორე ორგანიზაციაა ამერიკული კომპანია „კონტი ინტერნეშენელი“, რომელსაც 100-წლიანი ისტორია აქვს მშენებლობის მიმართულებით. ასევე არიან სხვა მფლობელებიც, რომლებიც იდეის და ამ პროექტის ირგვლივ გაერთიანდნენ.

აქვე მინდა აღვნიშნო, სულ რამდენიმე თვის წინათ, ჩვენ გავაფორმეთ ხელშეკრულება ამერიკულ ტერმინალ ოპერატორთან, რომელიც არის „ესესეი მარინი“ (SSA Marine), რაც ნიშნავს, რომ ამ ტერმინალის ოპერირებას ამერიკული კომპანია გაუწევს. ეს ოპერატორი მსოფლიოს 250 ლოკაციაზე მუშაობს. ანაკლიის პორტი იქნება თანამედროვე და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა და თანამედროვე მართვის სისტემებით მართული.

შესაბამისად, მინიმალურ დონეზე იქნება დაყვანილი პორტის დაკეტვის დღეების რაოდენობა წელიწადში, რაც ინდუსტრიის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით 5% ია. სამწუხაროდ, დღეს ქვეყანაში არსებული პორტების ინფრასტრუქტურა არ არის აღჭურვილი შესაბამისი სტანდარტით, რის გამოც უამინდობის დროს პორტები ხშირად დახურულია. ეს კი საერთაშორისო კომპანიებისთვის ძალიან დიდი დაბრკოლებაა, რის გამოც საბოლოოდ ქვეყანა კარგავს ტვირთის მოცულობას.

ახალი თანამედროვე ანაკლიის პორტი

იქნება საერთაშორისო მაღალი სტანდარტებით აღჭურვილი, თავისი ამწეებით, გადაზიდვის ხელსაწყოებით, რაც იქნება წინაპირობა იმისა, რომ პორტის დახურვა უამინდობის გამო არ მოხდეს. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ საერთაშორისო სატრანზიტო რუკაზე ანაკლიის პორტის სახით გაჩდეს საიმედო პარტნიორი.

პორტი არის 16 მეტრი სიღრმის და მივიღებთ 10 000 TEU-ს მოცულობის გემებს.

– ანაკლიის პორტი სადაც უნდა აშენდეს, სულ რამდენიმე მეტრში სამეგრელოსა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარია, რომელიც რუსეთის მიერ არის ოკუპირებული, რამდენად მიზანშეწონილი და უსაფრთხოა იქ პორტის მშენებლობის დაწყება?

– ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. თუმცა, მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ამერიკულმა კომპანიამ გადაწყვიტა ამ პროექტში ინვესტირება. ის, რომ ელჩებიდან დაწყებული ყველა დონის სტუმარი ჩადის ანაკლიაში ტერიტორიის დასათვალიერებლად და განიხილავს ინვესტირებას, ვფიქრობ, რომ ამ პროექტს კიდევ უფრო მეტ ძალას მატებს. რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ ეს არ არის გადაულახავი ბარიერი. პირიქით, შეიძლება, ეს იყოს სამაგალითო პროექტი, რომლითაც მსოფლიოს ვაჩვენებთ, რამდენად კარგად შეიძლება საქართველოში წარმატებული პროექტების, პირველ რიგში განხორციელება და შემდეგ მართვა.

– ხომ არ ყოფილა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისგან ან რუსეთის მხრიდან ანაკლიას პორტის მშენებლობაზე რამე წინააღმდეგობა?

– ზოგადად წინააღმდეგობა და გამოწვევები ყოველთვის არის, თუმცა დაბრკოლებებს წარმატებულად ვართმევთ თავს.

– ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის ყველა მსხვილ პროექტს ეწინააღმდეგება და დიდი სიფრთხილით უყურებს, როგორ მიიღო ანაკლიამ და ზუგდიდმა ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტი?

– ვფიქრობ, ანაკლიამ და მთელმა დასავლეთ საქართველომ ძალიან პოზიტიურად მიიღო პროექტი. რა თქმა უნდა, ყველა ელოდება ამ პროექტიდან შესაძლებლობებს, ვფიქრობ, რომ ეს პროექტი ძალიან დიდ ზეგავლენას არა მხოლოდ სამეგრელოს რეგიონზე, არამედ მთლიანად საქართველოზე მოახდენს. პირველ რიგში, აქ მარტო პორტი არ იქნება, აქ იგულისხმება პორტთან ერთად მთელი არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ასევე, როგორც იცით, საქართველოს მთავრობას აქვს სტრატეგია სივრცითი დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რაზეც 3,5 მილიარდი არის გამოყოფილი.

რა თქმა უნდა, სამეგრელოს რეგიონისთვის პორტის მშენებლობა უდიდესი შესაძლებლობაა, მით უმეტეს, იცით, რომ სახელმწიფოსთან ჩვენ საინვესტიციო ხელშეკრულება 52-წლიანია და მუდმივად იქნება მშენებლობა პორტისა და ქალაქის მიმართულებით.

– ანუ პორტის მშენებლობაზე 15 წლის განმავლობაში ხალხი მუდმივად დასაქმებული იქნება...

– პირველი ფაზის ინვესტიცია დაახლოებით 580 მილიონი დოლარი იქნება. პირველი ფაზის მშენებლობა სამი წლის განმავლობაში დასრულდება. პროექტი სულ 9 ფაზიანია. ჯამში 2,5 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიციაა დაგეგმილი. როგორც მშენებლობის პროცესში, ასევე მშენებლობის შემდეგ იქნება უკვე მუდმივი სამუშაო ადგილები იგივე პორტში თუ პორტთან დაკავშირებულ მომსახურებებში.

– როგორ შეძლებენ ანაკლიის პორტის მშენებლობაზე დასაქმების მსურველები მუშაობის დაწყებას, გვყავს თუ არა კადრები, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებთან იმუშავებს ან როგორ მოხდება მათი მომზადება?

– ერთ-ერთი მთავარი მიმართულება არის პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადამიანები უფრო მოტივირებულები იყვნენ, დაეუფლონ ხელობას.

პროექტის ფარგლებში ჩავატარებთ ტრენინგებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, შეიძლება ერთი ტრენინგი საკმარისი არ იყოს. ამიტომ, დღეს საქართველოში არის პროფესიული სასწავლებლები, სადაც შესაძლებელია უნარების გაუმჯობესება. მსგავსი პროგრამები აუცილებლად იქნება დანერგილი სამეგრელოში და მეტი ყურადღება დაეთმობა, მაგრამ რა თქმა უნდა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ, ჩვენ უახლოესი ტენდენციების პორტის მშენებლობა გვინდა და უახლეს ტექნოლოგიებს კვალიფიციური კადრი სჭირდება. რაც შეეხება ინდუსტრიულ ზონას, აქაც ძალიან ბევრი მწარმოებელი, ლოჯისტიკური და მსხვილი გადამზიდავი კომპანიები დაიწყებენ მშენებლობას.

– ანაკლიის პორტი მხოლოდ სატვირთო გემებს მიიღებს თუ სამგზავრო გემების მიღებაც იქნება შესაძლებელი?

– თავდაპირველად ეს იქნება ძირითადად სატვირთო, თუმცა მომავალში შესაძლებელია სამგზავრო გემების მიღებაც შეძლოს. მთავარია, ამის შესაბამისი ინფრასტრუქტურა განვითარდეს.

ახლა ვმუშაობთ ქალაქის კონცეფციის შემუშავებაზე. შერჩეული გვყავს საკონსულტაციო კვლევითი კომპანია და მოხდება სივრცითი დაგეგმარება-განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, დავიწყოთ მშენებლობა.

– ანაკლიის პორტის აშენებით პრობლემები და საფრთხე ხომ არ შეექმნება კოლხეთის ეროვნულ პარკს (2007 წლის 24 ოქტომბრიდან კოლხეთის ეკოსისტემა შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში)...

– ჩვენი მთავარი ამოცანაა, შევქმნათ ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც არის თანამედროვე მოთხოვნებზე გათვალისწინებული. ჩვენმა მთავარმა დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ ძალიან გამოკვეთილად განაცხადა, რომ ეს უნდა იყოს მწვანე ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული ქალაქი.

ანაკლია იქნება ქალაქი, სადაც ძალიან ბევრი თბილისიდანაც მოისურვებს საცხოვრებლად გადასვლას, რადგან ანაკლიაში ჩვენ არ გვინდა უბრალოდ ცემენტის ქალაქი ჩავდგათ, პირიქით, გვინდა, ისეთი ქალაქი გავაშენოთ, სადაც ცხოვრება შესაძლებელი იქნება უმაღლესი სტანდარტების გათვალისწინებით, თანამედროვე, მწვანე და ჭკვიან (ანუ სმარტ) პრინციპებზე დამყარებული.

– ნებისმიერ მსურველს შეეძლება პორტის მშენებლობაზე დასაქმება?

– რა თქმა უნდა, ნებისმიერ მსურველს, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. სამსახური იქნება ძალიან ბევრი სხვადასხვა მიმართულებით. რა თქმა უნდა, როდესაც ასეთი ინფრასტრუქტურაა, იქ ტურიზმი და მომსახურების სფეროც ვითარდება. შესაბამისად, სხვადასხვა ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება.

– ანუ თანრიგები აუცილებელი იქნება?

– ყველას ექნება შესაძლებლობა, მინდა აღვნიშნო, მე არ ვამბობ, რომ კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეს მაინცდამიანც სამაგისტრო, მაგრამ შესაბამისი კვალიფიკაცია საჭიროა.

პირდაპირ გეტყვით, ჩვენი ამოცანაა ინდუსტრიული ზონა რამდენიმე ათეულ და ასეულ ჰექტარზე განვითარდეს, რასაც დრო სჭირდება. ეს არ მოხდება ერთ, ორ ან სამ წელიწადში, პორტის მშენებლობის პირველი ფაზა 2021 წელს დასრულდება და მიიღებს პირველ გემს.

– თუ გაქვთ მონაცემები, რამდენი კომპანია იმუშავებს და მინიმალური ხელფასი რა იქნება?

– ამ ეტაპზე გვინდა, რომ მინიმუმ 10 კომპანია წარმატებულად ფუნქციონირებდეს, თუმცა ამით არ შემოვიფარგლებით და რამდენიმე ასეულ კომპანიასაც ვუმიზნებთ, ამას დრო სჭირდება. იმისთვის, რომ კომპანიამ მიიღოს გადაწყვეტილება ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელებაზე, დაახლოებით სამი- ხუთი წელი სჭირდება.

მაგალითად, ბოლო ორი კვირის განმავლობაში შევხვდი შვეიცარიულ, ავსტრიულ, უნგრულ და იტალიურ კომპანიებს. ამ კომპანიებს ვხვდებით იმისთვის, რომ დავაინტერესოთ. პირველი 5 წელი იქნება ძალიან რთული. თუმცა შეუძლებელი არაფერია, ჩვენ გვახსოვს, რომ საქართველოში ტურისტი სულ რაღაც 300 000 ადამიანი იყო, დღეს უკვე 7 მილიონს აჭარბებს, ანალოგიურად აქაც თავისი დრო და ტემპი დასჭირდება, მაგრამ აუცილებლად მივიღებთ შედეგებს.

– სულ ახლოს ფოთისა და ბათუმის პორტია, მათ რა ბედი ელით?

– როდესაც ქვეყანა დაიმკვიდრებს თავს, როგორც სატრანზიტო და რეგიონალური ჰაბი, ეს აბსოლუტურად ყველასთვის სასარგებლო იქნება. შევთანხმდეთ, სადაც ბევრი სასტუმროა, იმ რეგიონში უფრო მეტი ტურისტი ჩამოდის, ვიდრე იქ, სადაც ერთი სასტუმროა.

მნიშვნელოვანია, გავერთიანდეთ და საქართველოს როგორც სატრანზიტო დერეფნის ცნობადობის ამაღლებაზე დავიხარჯოთ. რაც შეიძლება, მეტი ახალი ტვირთი უნდა შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში, რაც შეიძლება, მეტი ახალი კომპანია უნდა შემოვიყვანოთ საქართველოში.

„ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲘ“, „ᲐᲘᲞᲠᲔᲡᲘ“ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

დიდველის სათხილამურო არეალი ოფიციალურად გაიხსნა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“ ბაკურიანში, დიდველის სათხილამურო არეალი ოფიციალურად გახსნა.

ზამთრის სეზონზე ბაკურიანში ჩასული დამსვენებელი ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელობის „ნოდოს“ 2000-მეტრიანი სათხილამურო გზით ისარგებლებს. მთელი სეზონის მანძილზე დიდველის ტრასებს, საჭიროების შემთხვევაში, 34 თოვლის საფრქვევი აპარატი გაათოვლიანებს.

დიდველზე 4 საბაგიროა: გონდოლას ტიპის, სკამებიანი (ბაბლი), ბიგელი და ფუნიკულიორი. ბაკურიანში 14 კმ. 7 სათხილამურო გზა ყველა ტიპის მოთხილამურის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

დღის მანძილზე დიდველის საბაგირო ყოველდღე, 10:00-17:00 სთ-მდე იმუშავებს. ღამე სრიალის მოყვარულებს დიდველზე სრიალი ღამეც შეეძლებათ ტრასებზე დამონტაჟებულია მაღალტექნოლოგიური ფერადი „ლედ განათებები“.

ზამთრის კურორტზე სასრიალო გზების უსაფრთხოებას სამთო პატრული უზრუნველყოფს.

ნაძალადევში განახლებულია 16 სპორტული მოედანი

მიმდინარე წელს ნაძალადევის რაიონში 16 სპორტული მოედანი განახლდა. ერთერთი პროექტი თბილისის ზღვაზე, დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში განხორციელდა, სადაც ფეხბურთისა და კალათბურთის კომბინირებული და საბავშვო გასართობი მოედანი მოეწყო.

ე.წ. ტურბაზის ტერიტორიაზე შესრულებულ სამუშაოებს ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ხელაძე გაეცნო.

პროექტის ფარგლებში, სპორტული მოედნის გარშემო მოეწყო ლითონის იზოლირებული ბადე, დაიგო ხელოვნური მწვანე საფარი და აღიჭურვა შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სტადიონის გვერდით კი, მოეწყო კაუჩუკის საფარი და დამონტაჟდა ატრაქციონები.

აღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის ნაძალადევის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 75 414 ლარი გამოიყო.

„ლიბერალობა, პატრიოტობა სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია“

ილია ჭავჭავაძე

გავრცელებულია აზრი, თითქოს ლიბერალიზმი და პატრიოტიზმი ერთმანეთის ანტიპოდებია, რომლებიც არა უბრალოდ ურთიერთსაპირისპირო სიტყვებია, არამედ ურთიერთსალანძღავიც. თუ ლიბერალებისთვის პატრიოტიზმი „ნაძირალების უკანასკნელი თავშესაფარია“, პატრიოტებისთვის ლიბერალიზმი ერისა და სამშობლოს უარყოფა, ეროვნული ტრადიციებისა და ღირებულებების უგულებელყოფაა!

ევროსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ჰერმან ვან რომპეის განცხადებით, მაგალითად, **„ისეთი მცნებები, როგორიც არის ერი და სამშობლო, ისტორიის სანაგვეზე უნდა გადავყაროთ“.**

პოლიტოლოგ ირაკლი უბილავას თქმით კი, **„ლიბერალური ღირებულებები ეწინააღმდეგება ქართველი ერის მიერ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ და ჩამოყალიბებულ ღირებულებებს, აზროვნების სტილსა და ცხოვრების წესს“.**

ლიბერალიზმის ექსპერტი პაატა შეშელიძე პატრიოტებს, არც მეტი, არც ნაკლები, ფაშისტებს ადარებს: **„პატრიოტები იყვნენ მუსოლინი, ჰიტლერი და ლენინი: პირველისათვის ლიბერალიზმი ნიშნავდა „მასონებს“, მეორისთვის — „ებრაელებს“, „მოლაყბეებსა“ და „ინტელექტუალებს“, მესამისთვის — „საძულველ ბურჟუაზიას“.**

პატრიოტიზმის აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე კი, პირიქით, ლიბერალებს ფაშისტებზე უარესებს უწოდებს: **„ლიბერალები ფაშისტებზე უარესები არიან“.**

ლიბერალიზმისა და პატრიოტიზმის ასეთი ურთიერთგამომრიცხავი და ანტაგონისტური გაგება ამ სიტყვების გაუკულმართების შედეგია, თორემ ნორმალური ლიბერალიზმი ისევე არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს პატრიოტიზმს, როგორც ნორმალური პატრიოტიზმი — ლიბერალიზმს?! პირიქით, ისინი აუცილებლად გულისხმობენ ერთმანეთს და არ არსებობენ უერთმანეთოდ.

მუსოლინი და ჰიტლერი (ლენინს მათში ნუ ავურევთ), სინამდვილეში, ცრუპატრიოტები იყვნენ და არა ნამდვილი. ისინი კი, ვისაც ელიზბარ ჯაველიძე გულისხმობს, ცრულიბერალები არიან და არა ნამდვილი ლიბერალები.

ნამდვილი ლიბერალისა და ნამდვილი პატრიოტის ერთიანობას განასახიერებს, მაგალითად, ილია ჭავჭავაძე, რომლისთვისაც ისევე დაუთმობელია თავისუფლების იდეალი, როგორც ერისა და სამშობლოს სიყვარული: **„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი, შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი, შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა, შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“;** და მეორე მხრივ: **„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული“.** ამიტომ პასუხობს იგი გრიგოლ ორბელიანს: **„ლიბერალობა, პატრიოტობა სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია“.**

გრიგოლ ორბელიანი თითქოს ორივეს ერთნაირად ლანძღავს, მაგრამ ორივეში ცრუს გულისხმობს და არა ნამდვილს: **„ჰე, სასურველო გმირთა მამულო, ნუთუ შენ მართლად ესრედ დამცირდი, რომ შენსა ბედსა, შენსა იმედსა, დაეხელმწიფნენ ცრუ პოეტები? ცრუ ლიბერალნი, პატრიოტები, მესხი, მეველე, მელიქ-აღები?“**

ნამდვილ ლიბერალობასა და პატრიოტობას კი „მუშა ბოქულაძის“ ავტორსა და საკუთარი ხმლით „ლეკიანობისაგან“ სამშობლოს განმათავისუფლებელ გენერალს ვერავინ ასწავლის. მას უბრალოდ ის აფიქრებს, რომ პოლიტიკურად უმწიფარმა ახალგაზრდებმა („რიონელებმა და გოგიტელებმა“), თავიანთი პროვინციულ-ცრუპატრიოტული ქმედებით („დამეხსენი ჩრდილოელო! რა მაქვს შენთან საზიარო?“ და ა.შ.), წყალს არ გაატანონ ერეკლე მეორის ანდერძნამაგი („აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა“ — **ბარათაშვილი**), როგორც მერე, მათებრ პოლიტიკურად უმწიფარი ახალგაზრდები, იმავე პროვინციულ-ცრუპატრიოტული ქმედებით, წყალს გაატანენ სტალინის ანდერძნამაგ „საქართველოს სსრ“-ს.

გრიგოლ ორბელიანის საყვედურს ყველაზე ნაკლებ იმსახურებდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც, „რიონელებისა და გოგიტელებისაგან“ განსხვავებით, კულტურული ავტონომიის მოპოვებას ესწრაფვოდა, რუსეთის ფრთებქვეშ, და არა მისგან გამოყოფას. ცრულიბერალობასა და ცრუპატრიოტობას კი იგი თვითონ ამათრახებდა, პირველს „უმეცრობის ფართი-ფურთს“ რომ უწოდებდა, მეორეს — „მამულის კვამლით თვალებაბმულობას“: „მაგრამ ამბობენ: И дым отечества нам сладок и приятен. კვამლის სიტკბოებაზედ კი უკაცრავად, და სიამოვნებაზედ კი იმას მოგახსენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურობასაც ვერა ვხედავთ“ („მგზავრის წერილები“).

სამუელ ჯონსონიც, რომელსაც ეკუთვნის გამონათქვამი — „პატრიოტიზმი ნაძირალების უკანასკნელი თავშესაფარია“ — აგრეთვე ცრუპატრიოტებს („self-professed patriots“) გულისხმობდა და არა ნამდვილ პატრიოტებს. სიტყვა „პატრიოტს“ კი იგი განმარტავს როგორც „ადამიანს, რომელსაც ამოძრავებს თავისი ქვეყნის მგზნებარე სიყვარული“.

ნაძირალების უკანასკნელი თავშესაფარია ცრუპატრიოტიზმი და არა ნამდვილი პატრიოტიზმი. იგივე ითქმის ცრულიბერალიზმზეც.

ლიბერალიზმის გაუკულმართება იმაში გამოიხატება, რომ იგი — ხალხის იარაღად ჩაფიქრებული, აბსოლუტური მონარქიების წინააღმდეგ საბრძოლველად, დემოკრატიულ ხელისუფლებებს თავიანთი იარაღად გაუხდიათ ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად!

ლიბერალიზმი თავისუფლებას გულისხმობს, თავისუფლება კი ხალხის პრეროგატივაა და არა ხელისუფლებისა. ხალხი იბრძვის თავისუფლებისთვის, აჯანყებებსა და რევოლუციებს აწყობს; ხელისუფლება, პირიქით, სულ იმის ცდაშია, რომ ჩაახშოს ხალხის თავისუფლება და სისხლში ახრჩობს აჯანყებებსა და რევოლუციებს. თავისუფლება ხალხთან ასოცირდებოდა ყოველთვის. ამიტომ დაარქვა ეჟენ დელაკრუამ თავის ცნობილ ტილოს: „თავისუფლება, რომელიც მიუძღვის ხალხს“ (La liberte guidant le peuple). ილია ჭავჭავაძის თქმით, თავისუფლება ჩაგრულის ნავთსაყუდარია, ჩაგრული კი მუდამ ხალხია და არა ხელისუფლება. მჩაგვრელის თავისუფლება ჩაგვრის თავისუფლებაა, და ჩაგვრის თავისუფლებაა ხელისუფლების ლიბერალიზმიც.

ხალხის დაცინვაა, როდესაც ხელისუფლება ლიბერალობით იწონებს თავს! იგი ხალხის მსახურია, და მსახური როგორ შეიძლება იყოს ლიბერალი?! ადამიანი ლიბერალი შეიძლება იყოს, სანამ მას ხელისუფლად აირჩევენ, არჩევის შემდეგ კი მან სასწრაფოდ უნდა დაანებოს თავი ლიბერალობას, რომ ხალხის მსახურობა შეძლოს. ყოველ შემთხვევაში, სამუშაო საათებში მაინც, სამუშაო საათების შემდეგ კი, კისერი უტეხია, უნდა ლიბერალი იყოს და უნდა ლიბერტარიანელი!

ხელისუფლების ლიბერალობა — ეს ხალხზე თვითნებობის თავისუფლებაა („რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ!“), ხალხის მსახურის — ხალხის ბატონად გადაქცევის ნეომონარქიული უკულმართობა. მონარქებს სჯეროდათ, რომ „ღმერთის მიერ ხელდასხმულები“ იყვნენ და ვალდებულად არ თვლიდნენ თავს, ანგარიში გაეწიათ ხალხისათვის. ხალხის მიერ თავის მსახურად არჩეულ ხელისუფალთა მხრივ ხალხისათვის ანგარიშის არგაწევა და მონარქებივით მოქცევა კი პარადოქსი და პოლიტიკური კრიმინალია.

ლიბერალზმის გაუკულმართებაზე საუბრობს სტალინიც მე-19 ყრილობაზე: **„წინათ ბურჟუაზია თავს ნებას აძლევდა, ლიბერალობა გამოეჩინა, ბურჟუაზიულ დემოკრატიულ თავისუფლებებს იცავდა და ამით პოპულარობას იხვეჭდა ხალხში. ახლა ლიბერალიზმისგან კვალიც აღარ დარჩენილა. აღარ არის ეგრეთ წოდებული „პიროვნების თავისუფლება“, პიროვნების უფლებებს ახლა მხოლოდ მათთვის ცნობენ, ვისაც კაპიტალი აქვს, დანარჩენი მოქალაქენი კი ითვლებიან ადამიანთა ნედლ მასალად, რომელიც გამოსადეგია მხოლოდ საექსპლუატაციოდ. გათელილია ადამიანებისა და ერების თანასწორუფლებიანობის პრინციპი, იგი შეცვლილია ექსპლუატატორი უმცირესობის სრულუფლებიანობისა და მოქალაქეთა ექსპლუატირებული უმრავლესობის უუფლებობის პრინციპით. ბურჟუაზიული დემოკრატიული თავისუფლებების დროშა გადაგდებულია. ვფიქრობ, რომ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, მოგიწევთ ამ დროშის აღმართვა და მისი წინ წაღება, თუ გსურთ, ხალხის უმრავლესობა შემოიკრიბოთ. თქვენს მეტი ვერავინ აღმართავს მას. წინათ ბურჟუაზია ერის მეთაურად ითვლებოდა, იგი იცავდა ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას, რასაც „ყველაფერზე მაღლა“ აყენებდა. ახლა „ეროვნული პრინციპისაგან“ კვალიც აღარ არის დარჩენილი. ახლა ბურჟუაზია დოლარებზე ყიდის ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას. ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა გადაგდებულია. თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, მოგიწევთ ამ დროშის აღმართვა“...**

გამოსავალი, რა თქმა უნდა, გაუკულმართებული ლიბერალიზმის ნორმალური ლიბერალიზმით შეცვლაშია, რაც ხალხის ბატონად ქცეული ხელისუფლების ხალხის მსახურად მოქცევას გულისხმობს. საქმე ეხება არა დემოკრატიის სისტემის შეცვლას (ასე მონარქია შეგვრჩება ხელში), არამედ, პირიქით, დემოკრატიის დაცვას, მის თავის ფუნქციაში აღდგენას და განამდვილებას, რადგან თუ საგანი თავის ფუნქციას კარგავს, ის ნამდვილი აღარ არის.

ჩერჩილის აზრით, დემოკრატია მმართველობის ყველაზე უარესი ფორმაა, მაგრამ არც სხვა ფორმები იყო უკეთესი: „მართლაც ითქვა, რომ დემოკრატია მმართველობის ყველაზე უარესი ფორმაა, თუ არ ჩავთვლით ყველა იმ სხვა ფორმას, რომლებიც გამოიცადა სხვადასხვა დროს“ (INDEED IT HAS BEEN

მივჩანჩალებთ

ერიც საზოგადოების ფორმაა და მასაც, როგორც საზოგადოებას, განახლება სჭირდება. ილია ჭავჭავაძე ამბობს: „ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აძვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა; რომელიცა ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინითა - ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ“ („საქართველოს მოამბეზედ“).

სამარისკენ?!

ლიბერალიზმი და პატრიოტიზმი

SAID THAT DEMOCRACY IS THE WORST FORM OF GOVERNMENT, EXCEPT FOR ALL THOSE OTHER FORMS THAT HAVE BEEN TRIED FROM TIME TO TIME).

სტალინი ჩერჩილზე უფრო დაჯერებული დემოკრატი და ლიბერალია: მისი აზრით, დემოკრატია მმართველობის ყველაზე უკეთესი ფორმაა და მას ალტერნატივა არა აქვს. იგი იმისათვის საყვედურობს ბურჟუაზიას, რომ დემოკრატიულ ღირებულებებს უღალატა („ლიბერალიზმისგან კვალიც აღარ დარჩენილა“, აღარ არის ეგრეთ წოდებული „პიროვნების თავისუფლება“, „ბურჟუაზიული დემოკრატიული თავისუფლებების დროშა გადაგდებულია“, „ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა გადაგდებულია“ და ა.შ.), რამაც შეიძლება დემოკრატიისა და ლიბერალიზმის იდეის დამარცხება გამოიწვიოს და მონარქიის, როგორც მონობის, უუფლებობისა და უთანასწორობის სისტემის, რესტავრაცია მოახდინოს. ამიტომ ავალებს იგი დემოკრატიული თავისუფლებების გადაგდებული დროშის აღმართვას კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს.

სტალინის შიში გამართლდა: ბურჟუაზიის გადაგვარებამ ლიბერალიზმისა და დემოკრატიის გაუკუღმართება გამოიწვია, რამაც გამოაცოცხლა ყავლგასული ფეოდალისტური ძალები, რომლებმაც სერიოზულად იწყეს ფაციფუცი ანაქრონული მონარქიის აღდგენაზე. იქმნება ე.წ. „თავადაზნაურთა საკრებულოები“, „პატრიოტთა ალიანსები“, „მუხრანბატონების შთამომავლების“ არარსებული „სამეფო სახლები“, ირჩევენ „სამეფო კარის რაინდებს“ და ა.შ., რაც ე.წ. „ეროვნული მოძრაობის“ საეჭვო ლიდერების მიერ ეთნიკურად დაყოფილ ერს წოდებრივადაც დაყოფასაც უქადის. იმ ვაილიდერების მსგავსად, ესენიც „ერისა და სამშობლოს სიყვარულით“ გვექადნებიან, მაგრამ მათი ერისა და სამშობლოს სიყვარული – ეს საკუთარი მამულების სიყვარული და საკუთარი პერსონის სახელმწიფოსთან გაიგივებაა: „სახელმწიფო – ეს მე ვარ!“ ყველაზე უარესი კი ის არის, რომ ყოველივე ამას ღმერთისა და ქრისტიანობის სახელით აკეთებენ, რაც ეწინააღმდეგება ღმერთისა და ქრისტიანობის არსს. ღმერთი აერთიანებს, სატანა – ყოფს. ქრისტე კი, ღმერთთან ერთად, გაერთიანებულებს ათანასწორებს, რამეთუ მის წინაშე ყველა თანასწორია.

ლიბერალიზმის ანტიპოდი ესკლავაჟიზმია (ფრ. Esclavage – მონათმფლობელობა) და არა პატრიოტიზმი. ლიბერალიზმი თავისუფლების სულისკვეთებაა, ესკლავაჟიზმი – მონათმფლობელობის სულისკვეთება, თუ შეიძლება მას საერთოდ სულისა ეწოდოს. ლიბერალიზმი და პატრიოტიზმი არათუ არ გამორიცხავენ ერთმანეთს, არამედ, პირიქით, გულისხმობენ ერთურთს და არ არსებობენ უერთმანეთოდ. რაც შეეხება ლიბერალიზმისა და ესკლავაჟიზმის ურთიერთმიმართებას, ისინი არა მარტო გამორიცხავენ ერთმანეთს, არამედ ერთიმეორის არარსებობაში პოულობენ თავიანთი არსებობის გამართლებას.

ქრისტიანობის არსი თავისუფლებასა და თანასწორობაშია. პირველი, ვინც მონათმფლობელობის ეპოქაში თავისუფლებასა და თანასწორობაზე იქადაგა, იესო ნაზარეველი იყო. მანამდე, ძველი საბერძნეთის ისეთ ბუმბერაზ მოაზროვნეებსაც კი, როგორებიც პლატონი და არისტოტელე იყვნენ, სიტყვა არ დაუძრავთ თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ და მონათმფლობელობის სისტემის გამართლებით იყვნენ დაკავებული.

თავისუფლებასა და თანასწორობას ნიშნავს ქრისტეს ჭეშმარიტებაც: **„შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“** (იოანე, 8:32); **„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით“** (იოანე 14:6).

სიტყვა „ჭეშმარიტებას“ ძველი ბერძენი ფილოსოფოსებიც ხმარობდნენ, მაგრამ, არ ესმოდათ მისი მნიშნელობა. დემოკრიტე (460-370) გულახდილად აღიარებდა: **„ჭეშმარიტების შესახებ არაფერი ვიცი, რადგან იგი ჭაშია“**. ჩანს, ამიტომ ამბობდა სოკრატეც (დაახლ.469-399): **„მე ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი“**. ამის შემდეგ, რა გასაკვირია, რომ იუდეის პროვინციის უბრალო გამგებელს არ სცოდნოდა, რა იყო ჭეშმარიტება?! როდესაც იესო ეუბნება, **„მე იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოვედი წუთისოფელში, რომ ჭეშმარიტება დამემოწმებინაო“**, პილატე გაკვირვებული ეკითხება: **„რა არის ჭეშმარიტება?“** (იოანე, 18:37-38).

ლიბერალიზმი, როგორც ადამიანთა თავისუფლებისა და თანასწორობის იდეოლოგია, მონარქიის ეპოქაში იშვა, როგორც მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება. ინგლისელმა ჯონ ლოკმა (1632-1704) გააქარწყლა მეფეთა „ღვთისნებაობის“ მითი და ხალხის, სახელმწიფოსა და დემოკრატიული წყობის იდეა წამოაყენა.

ბერძნების „დემოკრატია“ მონათმფლობელების დემოკრატია იყო, რადგან „დემოსად“, ანუ ხალხად მონათმფლობელები ითვლებოდნენ და არა მონები. უდამიანებოდ არ არსებობს ხალხი, უხალხოდ – დემოკრატია.



ჰეგელის აზრით, ადამიანის როგორც ზოგადის გაგება მონობის გაუქმების შედეგად გახდა შესაძლებელი, რაც ქრისტიანული რელიგიის გაცნობიერებამ განაპირობა ევროპაში: **„ზოგადი თავისი ჭეშმარიტი და ფართო მნიშვნელობით ისეთი აზრია, რომლის შესახებ უნდა ითქვას, რომ ათასეული წლები დასჭირდა მას, რათა ადამიანთა ცნობიერებაში შეჭრილიყო, და რომელმაც თავის სრულ აღიარებას პირველად მხოლოდ ქრისტიანობის წყალობით მიაღწია... ჭეშმარიტი საფუძველი იმისა, თუ რატომ აღარ არის ქრისტიანულ ევროპაში მონობა, სხვა არაფერში არ უნდა ვეძიოთ, თუ არა თვით ქრისტიანობის პრინციპში. ქრისტიანული რელიგია არის აბსოლუტური თავისუფლების რელიგია და მხოლოდ ქრისტიანებისთვის გააჩნია ადამიანს როგორც ასეთს მნიშვნელობა თუ ღირებულება მის უსასრულობასა და ზოგადობაში“** („ლოგიკის მეცნიერება“).

ილია ჭავჭავაძე ჩიოდა, ჩვენი ისტორია მეფეების ისტორიაა, ხალხი არ ჩანსო. რა გამოჩნდებოდა, რაც არ არსებობდა?! ხალხსაც და ისტორიასაც ადამიანები ქმნიან, ადამიანებს – თავისუფლება და თანასწორობა. ყმები და მონები არც ხალხია, არც ისტორიული ღირებულება გააჩნიათ. ისინი მხოლოდ მაშინ იქცევიან ხალხად და ისტორიულ ღირებულებებად, როცა ჯანყდებიან და რევოლუციებს ახდენენ. ასეთ „ყმესა“ და „მონებს“ კი ისტორია არ ივიწყებს. პირიქით, მათ თვითონ შეჰყავთ ისტორიაში თავიანთი ბატონები და მონათმფლობელები. მაგალითად, არსენა ოძელაშვილი რომ არა, ვის ემახსოვრებოდა დღეს ვიღაც ზაალ ბარათაშვილი („ბარათაშვილი ზაალი ძალიან გაგვინაწყენა“)?! აღარაფერს ვამბობთ რომის იმპერიის იუდეის პროვინციის უნიათო (!) გამგებელ პილატეზე, რომელიც იესო ნაზარეველის წყალობით შევიდა ისტორიაში.

ᲛᲝᲜᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲐ. ᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ, ᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ?! ᲮᲐᲚᲮᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡᲐᲪ, ᲔᲠᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲥᲛᲜᲘᲐᲜ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ – ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐ.

სტალინის აზრით, ერების გაჩენა ბატონყმობის გაუქმებასთან და ფეოდალიზმის სტადიის გავლასთან არის დაკავშირებული: **„საქართველო, როგორც ერი, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი. იგივე უნდა ითქვას სხვა ერებზეც, რომლებმაც ფეოდალიზმის სტადია განვლეს და თავიანთ ქვეყნებში კაპიტალიზმი განავითარეს“** (ი.ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, თბილისი, 1947, გვ. 315-326).

ჩვენი ისტორიკოსები (გურამ ყორანაშვილი და სხვები) ხელაღებით უარყოფენ სტალინის ამ ურყევ თვალსაზრისს და სურთ დაგვაჯერონ, რომ ქართველი ერი უხსოვარი დროიდან არსებობს და მას ათასეული წლების ისტორია აქვს.

პუბლიცისტ გულნარა სტურუას, დღევანდელი ქართველების ქცევას რომ უყურებს, საეჭვოდ ეჩვენება ქართველი ერის წარმოშობა არა მარტო უძველეს საუკუნეებში, არამედ თვით მეცხრამეტე საუკუნეშიც: **„მეცხრამეტე საუკუნეში შედგაო - ამბობენ, ზოგიც კი მის წარმოშობას უძველეს საუკუნეებს მიაწერს, ანუ იმ დროს, როდესაც უძველესმა ქართველმა ტომებმა (ქაშქები და მუშქები) კოლხასა და დიაოხის სახელმწიფოებად იწყეს გაერთიანება“**. იგი გულისტკივილით კითხულობს – **„ვინა ვართ, რანი ვართ, ერი თუ მცხოვრებნი?“** – და თავისსავე დასმულ კითხვას თვითონვე შესანიშნავად პასუხობს: **„ისიც ვიცით, რომ ერი თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებზე ჩამოყალიბებული მოქალაქეთა ერთობლიობაა“** (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 17.11.2017).

ჰოდა, ქალბატონი პუბლიცისტის ამ შესანიშნავი პასუხით ვეკითხები ბატონ ისტორიკოსებს: არსებობდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე, უფრო ადრეულ საუკუნეებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბატონყმურ საქართველოში ერის ცნებისათვის აუცილებელი – თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებზე ჩამოყალიბებული მოქალაქეთა ერთობა?!

თავისუფლება ადამიანური მოვლენაა და, როგორც ყოველივე ადამიანური (ენა, ცნობიერება, აზროვნება), საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა. იგი პიროვნების თვისებაა, პიროვნება კი არ არსებობს საზოგადოებრივი შეგნების გარეშე. ამდენად, მისი თავისუფლებაც პიროვნულია და არა პირადული, სულიერი და არა ხორციელი, ალტრუისტული და არა ეგოისტური. პირადული, ხორციელი (ავხორცული) და ეგოისტური გამოვლინებები ცხოველური მოვლენებია და არა ადამიანური თავისუფლება.

თავისუფლების საზოგადოებრივი დანიშნულება იმაში გამოიხატება, რომ მისი საშუალებით, ადამიანი-პიროვნება საზოგადოებას ქმნის. თავის მხრივ, საზოგადოებაც აყალიბებს ადამიანს, როგორც საზოგადოებრივად მეტყველს, ცნობიერსა და მოაზროვნეს (ცხოველებს შორის გაზრდილი მაუგლები მეტყველებასაც ვეღარ სწავლობენ), მაგრამ ისტორიულად, ადამიანი ქმნის საზოგადოებას, არა პირიქით. შემოქმედი ადამიანია და არა საზოგადოება. ამბობენ, შემოქმედებაშია თავისუფლებაო. უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა: თავისუფლება თავისთავად არის შემოქმედება, ხოლო შემოქმედება – საზოგადოების შემოქმედება. ადამიანი-პიროვნება ქმნის საზოგადოებას, და იგი ქმნის მას თავისუფლების საშუალებით. თავისუფლება საშუალებაა, საზოგადოება – მიზანი. ამაშია თავისუფლების საზოგადოებრივი ღირებულება და საზოგადოების ინტერესებშია, იცავდეს თავისუფლების იდეას და უფრთხილდებოდეს თავისუფალ პიროვნებას.

ჰეგელის აზრით, **„როგორც მოაზროვნე, ადამიანი ბუნებრივი არსება აღარაა“**. ადამიანებს ეშინიათ აზროვნებისა და არაბუნებრიობისა. ამიტომ იგი, ბუნებრივი ადამიანების დასამშვიდებლად, იქვე შენიშნავს: **„შეუძლებელია სხვისთვის აზროვნება, როგორც სხვისთვის ჭამა-სმა“**.

ეგოიზმი გამორიცხავს ალტრუიზმს, მაგრამ ალტრუიზმი არ გამორიცხავს ეგოიზმს.

ფრანგი ფილოსოფოსის მონიკ კანტო-სპერბერის აზრით, **„ლიბერალიზმი და სოციალიზმი თითქოს ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, როგორც ორი ფილოსოფია ადამიანისა და საზოგადოების შესახებ. მაგრამ სოციალიზმიც სხვა არა არის რა, თუ არა ფილოსოფია თავისუფლების შესახებ“**. მისი ფიქრით, **„თავისთავად ცხადია, რომ ლიბერალიზმი არ არის უბრალოდ ინდივიდის ტრიუმფი. რადგან არ არსებობს ინდივიდი სოციალური ერთიანობის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდის პრეტენზიათა უმრავლესობა, მისი თავისუფლება იქნება თუ მისი პიროვნულობის დამტკიცების უნარი, დიდწილად დამოკიდებულია მის სოციალურ ბაზაზე. ასე რომ, საზოგაგოებისა და საზოგაგოებრივი ორგანიზაციის არსებობა, რასაც მოითხოვს სოციალიზმი, ლიბერალიზმის თვით სათავეში იგულისხმება. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინდივიდის იდეა, რომელსაც იცავს ლიბერალიზმი, მოითხოვს სოციალურ გარემოს. კონტურები თავისუფლებისა, რომელსაც მოითხოვს ლიბერალიზმი, მთლიანად იკვებება სოციალური ცხოვრებით, რასაც სოციალიზმი აყენებს პირველ პლანზე“**.

საზოგადოების შექმნა დაუსრულებელი ისტორიული პროცესია, რაც ჯოგისაგან საზოგადოების შექმნაში გამოიხატება. „დასრულებულ“, ანუ დახავსებულ ტრადიციებზე გაჩერებული საზოგადოება ყოველთვის ჯერ ისევ ჯოგია. საზოგადოების არსი მუდმივ განახლებაშია. მუდმივად ცვალებად სამყაროში გადარჩენის ერთადერთი საშუალება განახლებაა. დიალექტიკური განახლება ძველის უკვალოდ გაქრობას კი არ ნიშნავს, არამედ შემთხვევითის გაქრობას და არსებითის გადარჩენას. ახალი აღთქმის გაგებით, „ახლის შექმნა“ ახალი, უკეთესი იერუსალიმის დამკვიდრებას გულისხმობს და არა მის დაღუპვას: „ვიხილე წმინდა ქალაქი ახალი იერუსალიმი, რომელიც ღვთისაგან ეშვებოდა ციდან გამზადებული, როგორც მორთული სასძლო თავისი ქმრისათვის. გავიგონე ტახტიდან დიდი ხმა, რომელიც ამბობდა: **„აჰა, კარავი ღვთისა კაცთა შორის! და ის დამკვიდრდება მათ შორის, ისინი იქნებიან მისი ერი და თვით ღმერთი იქნება მათთან. მოსწმენდს ყველა ცრემლს მათი თვალებიდან და აღარ იქნება სიკვდილი; გლოვა, გოდება და ტკივილიც აღარ იქნება; რადგან წინანდელნი გარდახდნენ“**. თქვა ტახტზე მჯდომარემ: **„აჰა, ყოველივე ახალს ვქმნი!“** (გამოცხადება, 21:2-5).

ერიც საზოგადოების ფორმაა და მასაც, როგორც საზოგადოებას, განახლება სჭირდება. ილია ჭავჭავაძე ამბობს: **„ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა; რომელიცა ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინითა – ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ“** („საქართველოს მოამბეზედ“).

ლიბერალიზმიც სხვა არა არის რა, თუ არა განახლების სულისკვეთება, როგორც განახლების სულისკვეთება – პატრიოტიზმი. ისინი აუცილებლობით გულისხმობენ ერთმანეთს და არ არსებობენ უერთმანეთოდ.

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲘᲧᲝᲗ. ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲐᲠᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ. ᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲘᲣᲓᲔᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲔᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐᲕᲡ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘ ᲙᲘ ᲛᲐᲛᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲐ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲐᲮᲚᲔᲑᲔᲚᲘ!

ᲝᲛᲐᲠ ᲮᲐᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

12 დეკემბერი 2017, ვარეგემი, ბელგია

სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისათვის“.

ჟენევაში გაეროს განყოფილებებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად – ვიქტორ დოლიძე, ხოლო გერმანიის ელჩად ელგუჯა ხოკრიშვილი წარადგინეს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჟენევაში გაეროს განყოფილებებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობაზე დასანიშნად ვიქტორ დოლიძის, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე დასანიშნად კი ელგუჯა ხოკრიშვილის კანდიდატურები წარადგინა.



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ხელი მოაწერა მთავრობის განკარგულებას აღნიშნული კანდიდატურების საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილისთვის წარდგენის თაობაზე. დღეს ელჩების კანდიდატურებს საქართველოს პრეზიდენტი მიიღებს.

ვიქტორ დოლიძე 2016 წლიდან დღემდე არის საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში. იგი გახლავთ კარიერული დიპლომატი და 2007 წელს მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი. 2012 წელს ვიქტორ დოლიძე გახდა საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი, სხვადასხვა დროს ეკავა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის თანაპრეზიდენტის, ავსტრიასა და საბერძნეთის რესპუბლიკასთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელის პოზიციები. პოლიტიკურ მოღვაწეობამდე ვიქტორ დოლიძე ეწეოდა აქტიურ დიპლომატიურ საქმიანობას. 2005-2009 წლებში გახლდათ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიისა და უნგრეთის რესპუბლიკებში და საქართველოს მუდმივი წარმომადგენილი ეუთოსა და ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში და საქართველოს დიპლომატიურ მისიებში საზღვარგარეთ. 2004-2005 წლებში ასევე გახლდათ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს საერთაშორისო უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის კანდიდატად წარდგენილი **ელგუჯა ხოკრიშვილი** 2014-2015 წლებში გახლდათ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წევრი, ეკავა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, შემდეგ კი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის თანამდებობა. ამჟამად ელგუჯა ხოკრიშვილი საქმიანობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში საელჩოს უფროსი მრჩევლის პოზიციაზე. ელგუჯა ხოკრიშვილს აქვს გერმანიაში აკადემიური საქმიანობის დიდი გამოცდილება. 2002-2008 წლებში მოღვაწეობდა პოტსდამის უნივერსიტეტში სხვადასხვა პოზიციაზე. სხვადასხვა დროს საქმიანობდა როგორც ექსპერტი და პროექტის ხელმძღვანელი გერმანიის მთავრობის მიერ განხორციელებულ პროგრამებში.

მთავრობამ ვეტერანთა სოფლის მიზანშეწონილობა ვერ დაინახა

ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა შეჩერებულია

ვეტერანთა **სოფელი აღარ აშენდება. ამის შესახებ „კომერსანტს“ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში განუცხადეს. უწყების ინფორმაციით, მთავრობამ სახელმწიფოს მიერ აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად დამატებითი ფინანსური ვალდებულებების აღება მიზანშეწონილად არ მიიჩნია. ინიციატივა, რომელიც საზღვრისპირა რეგიონებში ვეტერანთა სპეცდასახლების შექმნას გულისხმობს, ყოფილ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ეკუთვნის.**

უწყების განმარტებით, ხელშეკრულება მოიცავდა გარდაბანში, ყოფილ სამხედრო დასახლება „პობედას“და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ 1400 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე საქართველოში ვეტერანთა კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების შექმნის საპილოტე პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარების მომსახურების შესახებ.

მათი ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 მარტის №599 განკარგულების შესაბამისად, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა 2015 წლის 25 მარტს გააფორმა ხელშეკრულება ნიდერლანდების სამეფოში რეგისტრირებულ კომპანია Fortuna ჰოლდინგ BV-სთან. აღნიშნულმა კომპანიამ პროექტის ტექნიკური-ეკონომიკური კვლევა ჩაატარა. 2015 წლის 25 აგვისტოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა ჩაიბარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება — საბოლოო ანგარიში საქართველოში ვეტერანთა კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების შექმნის საპილოტე პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ.

„ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგები, 2015 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე ცნობად მიიღო ეკონომიკურმა საბჭომ და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს დაევალა პროექტის განხორციელებისათვის საჭირო შემდგომი ღონისძიებების გატარება. სამსახურმა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა დადგენილი წესისამებრ, შენიშვნებისა და წინადადებების წარმოდგენის მიზნით გაუგზავნა საქართველოს შესაბამის სამინისტროებს“ — განუცხადეს „კომერსანტს“ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში.

მათივე განცხადებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პროექტის შესახებ უარყოფითი დასკვნა წარმოადგინა. კერძოდ, სამინისტრომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სახელმწიფოს მიერ აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად დამატებითი ფინანსური ვალდებულებების აღება.

„ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებით წარმოდგენილი არ არის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, აღნიშნული პროექტის განხორციელების დასაბუთებული შესაძლებლობა, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ამ ეტაპზე, კანონმდებლობით, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოკლებულია შესაძლებლობას უზრუნველყოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო შემდგომი ღონისძიებების განხორციელება“, — აცხადებენ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში.

შეგახსენებთ, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელმა ირაკლი შიხიაშვილმა 2015 წლის ნოემბერში „კომერსანტთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ საზღვრისპირა რეგიონებში ვეტერანების დასახლებისთვის სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება, ვეტერანების სოფელი აშენდებოდა.

„გარდაბნის რაიონში მდებარე ყოფილ კოლმეურნეობა „პობედაში“ ვგეგმავთ პირველი საპილოტე სოფლის განხორციელებას. დაფინანსება — 200 ათასი დოლარი გამოყო საპარტნიორო ფონდმა. დღეს უკვე გვაქვს სამუშაო და სამოქმედო დოკუმენტი და ამ დოკუმენტის საფუძველზე შეგვიძლია, არათუ ვივარაუდოთ, არამედ ვიყოთ მაქსიმალურად დარწმუნებულები იმაში, რომ ამ სოფლის აშენება წარმატებული იქნება. მთავრობამ პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება, რომ პირველი საპილოტე პროექტისთვის ფული ბიუჯეტიდან გამოყოფილიყო, საუბარია 75 მილიონ დოლარზე. დიდი მსჯელობის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ „გეორგია“ დაგვერქმია“ — აცხადებდა შიხიაშვილი.

სოფო ქსოვრელი

ირაკლი ხმალაძე: დედაქალაქის მთავრობა მერიის სისტემაში დანაშაულებრივი ქმედებისა და კორუფციის ფაქტებს არ დაუშვებს

თბილისის ვიცე-მერი ირაკლი ხმალაძე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლების მიერ ქრთამის აღების ფაქტზე, კრწანისის რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილების წამყვანი სპეციალისტის დაკავებასთან დაკავშირებით განაცხადებას აკეთებს:

„გვსურს, გამოვეხმაუროთ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლების მიერ ქრთამის აღების ფაქტზე, კრწანისის რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილების წამყვანი სპეციალისტის დაკავებას. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ დედაქალაქის მთავრობა დანაშაულის ნიშნების შემცველ ფაქტებს რეაგირების გარეშე არ დატოვებს და გამოძიებასთან უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად ითანამშრომლებს“, — აღნიშნა ირაკლი ხმალაძემ.

ვიცე-მერის განცხადებით, დედაქალაქის მთავრობა მერიის სისტემაში დანაშაულებრივი ქმედებისა და კორუფციის ფაქტებს არ დაუშვებს და ყველა მოხელის მიმართ, ვინც არაკანონიერ ქმედებას ჩაიდენს, შესაბამის ზომებს გაატარებს.

„მოვუწოდებთ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურაში მომუშავე თითოეულ თანამშრომელს, ბოროტად ნუ გამოიყენებენ დაკავებულ თანამდებობებს. ასევე, ნუ შელახავენ მერიის სტრუქტურაში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეების ღირსებასა და პატივს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც დედაქალაქის მთავრობის, ასევე საგამოძიებო უწყებების მხრიდან შესაბამისი ზომები გატარდება“, — განაცხადა ირაკლი ხმალაძემ.

ისნის რაიონში 25-ზე მეტი უნებართვო მშენებლობა გამოვლინდა

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა ისნის რაიონში, მელაანის ქუჩაზე 25-ზე მეტი უნებართვო მშენებლობა გამოავლინა. ადგილზე მოსახლეობას თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი გიორგი ბაგრატიონი და ისნის რაიონის გამგებელი კახა ლაბუჩიძე შეხვდნენ.

როგორც ირაკლი ბენდელიანმა განაცხადა, მოსახლეობას გონივრული ვადა მიეცა, რათა უკანონო ნაგებობების დემონტაჟი თავად მოახდინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურები გატარდება.

„ჩვენი ერთ-ერთი დაპირება იყო და აქტიურად ვმუშაობთ, რომ ოჯახები, რომლებიც წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ სახლებში, თაობები გაზარდეს, მაგრამ გარკვეული ბიუროკრატიული მიზეზების გამო ქონების რეგისტრაცია ვერ მოახერხეს, საცხოვრებელი ფართები პერიოდულად დაუკანონდეთ, მაგრამ აქ სრულიად განსხვავებული შემთხვევაა, როდესაც ქაოსურად, ყოველგვარი ნებართვის გარეშეა აშენებული ნაგებობები. ვესაუბრეთ მოსახლეობას, მივცემთ გონივრულ ვადებს და შესაბამისი ღონისძებები გატარდება“, — აღნიშნა ირაკლი ბენდელიანმა. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვო მშენებლობა 10 000 ლარით დაჯარიმებას იწვევს და შენობა დემონტაჟს ექვემდებარება.

◎ უნგრული დღეები თბილისში

მადიარები – ჩვენი უძველესი მეგობრები

ამ ბოლო დროს, იშვიათია საქართველოში სხვა ქვეყნის დღეები ისე შინაარსიანად და მრავალფეროვნად ჩატარებულიყოს, როგორც წლეულს, დეკემბრის დასაწყისში თბილისმა უნგრეთის დღეებს უმასპინძლა. წარმოდგენილი იქნა უნგრეთის მდიდარი კულტურის მრავალფეროვანი მიმართულებები. პირველ რიგში „უნგრეთის კულტურის დღეების“ ინიციატორებმა, მონაწილეებმა და დამსწრეებმა პატივი მიაგეს ჩვენს წინაპრებს, რომელთაც სწამდათ ჩვენი ხალხის საერთო წარსულისა და შემდგომ, კიდევ უფრო გამყარებული მეგობრობისა.

საერთო წარსული ვახსენეთ და ხაზი მინდა გავუსვა იმ ლეგენდას, რომელიც ისტორიული წარსულია უნგრელი ხალხის წარმომავლობისა. უძველესი უნგრულ-ქართული თანაარსებობა იმ უხსოვარი დროიდან იწყება, როდესაც უნგრელ-მადიართა წინაპრები ეგვიპტიდან შორეულ აღმოსავლეთამდე მიგრირებდნენ, სახლდებოდნენ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში და შემდგომ, გზას განაგრძობდნენ ევროპაში. მათი მომთაბარე ტომები ხომ მე-9 საუკუნეში დასახლებულან დუნაის აუზში. მე-19 საუკუნეში უნგრელებმა მრავალი ექსპედიციაც კი დაგეგმეს კავკასიაში, გამოსცეს წიგნები და სტატიები **„უნგრელების ნაციონალურ სამშობლოზე – კავკასიაზე“**, უამრავი ლექცია-სემინარები, გამოფენები და კვლევები მიუძღვნეს ამ თემას. სწორედ ამ თემაზე ისაუბრეს უნგრეთის დღეების გახსნისას უნგრეთის კულტურის სახელმწიფო მინისტრმა **პიტერ ჰოპალმა** და საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრმა **მიხეილ გიორგაძემ**. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მე-17 საუკუნეში **ნიკოლას მისტოფალოშ კიშმა** ვახტანგ VI-სთვის პირველად ჩამოასხა ქართული ანბანი და ამით ხელი შეუწყო საქართველოში წიგნის ბეჭდვის დამკვიდრებას. უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩიმ, რომელიც კარგა ხანს ცხოვრობდა საქართველოში, დაასურათა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. ქართველმა ხალხმა კი დიდი ხელოვანის სახელი იმით უკვდავყო, რომ უნგრელი მოქანდაკის **შანდორ კიშის** მიერ შექმნილი ზიჩის ქანდაკება, საქართველოს დედაქალაქში დაიდგა. უნგრული დღეების ფარგლებში დიდი უნგრელი ფერმწერისა და ლითოგრაფის ოსტატის ილუსტრაციების გამოფენაც მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო ხელოვანის ნამუშევრები, ილუსტრაციები იმრე მადიჩის „ადამიანი ტრაგედიიდან“, მიხეილ ლერმონტოვის „დემონიდან“, აგრეთვე კავკასიაში მოგზაურობის დროინდელი პეიზაჟები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე ირანის იანოშის ბალადების ილუსტრაციები, რითაც პატივი მიაგეს დიდი უნგრელი პოეტის დაბადებიდან 200 წლის იუბილეს.



დღესასწაულის დღეებში ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ღონისძიება გახლდათ უნგრელი მწერლის იმრე მადაჩის უკვდავი უნგრული ლიტერატურის მარგალიტად აღიარებული პოემის **„ადამიანის ტრაგედიის“** წარდგინება. მართალია, ცნობილი ქართველი პოეტის **ნოდარ გურეშიძის** უშესანიშნავესი თარგმანი პირველად 1977 წელს გამოვიდა, მაგრამ იმდენად პოპულარული გახდა, რომ შემდგომი გამოცემები (გასული საუკუნის 70-იან წლებში და 1984 წელსაც) ბესტსელერებად იქცა. წიგნი გამოცემულია **მიხაი ზიჩის** ილუსტრაციებით. მადაჩის დრამა მიჩნეულია როგორც „კაცობრიობის პოემა“, რომელიც ფართოდ ცდება იმდროინდელ აქტუალურ, ეროვნულ საკითხებს. „ადამიანის ტრაგედია“ – ეს არის პოემა ადამიანის მარადიულ ბრძოლაზე და ათასწლეულების მანძილზე ჭეშმარიტების ძიებაზე. იგი 155 წლის წინათ გამოიცა და დღემდე ინარჩუნებს აქტუალობასა და რევანტულობას. აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც ეს გენიალური ნაწარმოები იქმნებოდა, უნგრეთი პესიმიზმისა და უიმედობის, რევოლუციის მომწიფების წინა პერიოდში იდგა.



აღსანიშნავია, რომ უნგრული ლიტერატურის ძირეული მცოდნის ნოდარ გურეშიძის ამ შესანიშნავი თარგმანის გამოცემა კიდევ ერთხელ გახდა უნგრული დღეების ერთ-ერთი ღირშესანიშნავი მოვლენა. ხელოვნების სასახლეში, სადაც დღესასწაულის დღეებში მოხდა წიგნის წარდგენა, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა, ბატონმა ლევან თაქთაქიშვილმა, უნგრეთის მწერალთა კავშირის პრეზიდენტის წარმომადგენელმა, დოქტორმა ზოლტან იანოშმა და ნოდარ გურეშიძის მეუღლემ, ქალბატონმა მანანა სიხარულიძემ.

ჩატარდა ერთობლივი მესა, რითიც პატივი მიაგეს ქართველი და უნგრელი ხალხის საერთო ქრისტიანულ ფესვებს. ღონისძიებაზე მონაწილეობას იღებდნენ თბილისის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსი, მისი აღმატებულება ჯუზეპე პაზოტი, მამა ალამ ოპალი და მისი აღმატებულება ლასლო კიშლიგო. ფსალმუნთა გალობაში მონაწილეობა მიიღო წმინდა ეფრემის მამაკაცთა ვოკალურმა გუნდმა.

უნგრული დღეები თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალით დასრულდა, სადაც უნგრული მხატვრული და მოკლემეტრაჟიანი ფილმები იყო წარმოდგენილი.

ავთანდილ ბეჟაური

◎ წერილი საბერძნეთიდან

ლიგიამ ემიგრანტებს სიცოცხლე გაუხალისა

ლიგია მუშკუდიანს ალბათ ყველა ქართველი ემიგრანტი იცნობს ათენში. ის წლებია, საბერძნეთში ცხოვრობს და აქტიურ პროდიუსერულ საქმიანობას ეწევა. ლიგია თავისი დიდი შრომის საფასურად ახერხებს ჩვენს თანამემამულეებს გაუხალისოს და გაულამაზოს რთული, დაძაბული ემიგრანტული ცხოვრება, აწყობს მათთვის ლამაზ დღესასწაულებს, ცდილობს, შეუმსუბუქოს ნოსტალგია, რამდენიმე საათით მაინც, კონცერტის მიმდინარეობის დროს, ვირტუალურად დააბრუნოს ისინი სამშობლოში.

ყოველ კონცერტს თან ახლავს უდიდესი ემოცია, სითბო, სიყვარული, შეხვედრა მათთვის საყვარელ არტისტებთან, მომღერლებთან, მათთან გასაუბრება, სამახსოვრო ფოტოების გადაღება, სიხარულის, აღფრთოვანების და ნოსტალგიის ცრემლები...

– დიდი ხანია, საბერძნეთში ცხოვრობთ?

– საბერძნეთში პირველად 1997 წელს გავემგზავრე, როგორც ტურისტი. ერთ თვეში უკან დავბრუნდი. 2001 წელს ისევ მომიწია წასვლა და მას შემდეგ ათენში ვარ... საბერძნეთში ემიგრანტები, ფაქტობრივად, იძულებით შრომას ვასრულებთ. გადავწყვიტე, პარალელურად კონცერტები გამემართა, ანუ ის საქმე მეკეთებინა, რასაც სამშობლოში ვაკეთებდი... პირველივე კონცერტი წარმატებით ჩატარდა. „ქართველ ქალთა კავშირის“ ეგიდით საბერძნეთში 17-18 კონცერტი გავმართე. მანამდე კი დამოუკიდებლად ვმუშაობდი, შემდეგ საბუთები გავაკეთე, აღარ ვითვლებოდი „არალეგალად“ და დავმკვიდრდი აქ... სანამ საბერძნეთში წამოვიდოდი, რუსთავში კონცერტების ორგანიზებას 90-იან წლებში ვახერხებდი. მე და ჩემმა მეგობრებმა დავაარსეთ შემოქმედებითი გაერთიანება „გეა“ და ამ გაერთიანების სახელით ბევრი ლამაზი საღამო მოვუწყვეთ რუსთაველებს. საბერძნეთშიც ბევრი კონცერტის ორგანიზება შევძელით, პირველი კონცერტი გავმართეთ 2005 წელს. ქალბატონი მზია კვირიკაშვილი და ნეკა სებისკვერაძე მოვიწვიე. მერე ბატონ ოთარ რამიშვილს გავუმართეთ საიუბილეო კონცერტი. მას მოჰყვა „4 გია“ და დღემდე 25 კონცერტის ორგანიზება შევძელი. თუკი ვინმე მღეროდა საქართველოში, ყველა მყავდა საბერძნეთში ჩაყვანილი.

წლების წინათ ბესიკ ვეფხვიაშვილს ათენში შევხვდი. არაჩვეულებრივი, ძალზე განათლებული და საოცრად კარგი ადამიანია, თუმცა ჩვენი ოჯახური ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. გვყავს ერთი გოგონა, 14 წლის ანა-მარია. დღემდე კარგ ურთიერთობას ვინარჩუნებთ. რა თქმა უნდა, ანა-მარიასაც აქცევს ყურადღებას, შეძლებისდაგვარად. ამჟამად საქართველოშია, ყვარელში ცხოვრობს.

რადგან უკვე ასაკში ვიყავი, როდესაც ბავშვი გავაჩინე, ანა-მარიას ღვთის საჩუქარი დავარქვი და ის მართლაც ღვთის საჩუქარია ჩემთვის. მამამისი მსაყვედურობდა ხოლმე, – ღვთის საჩუქარი კი არა, ჩემი საჩუქარიაო. მას სახელი იმ პატარებმა დაარქვეს, ვისთანაც ვმუშაობდი აღმზრდელად. იმხანად ორ პატარა გოგონას ვზრდიდი – მელია და ირიდა ერქვათ, დებს. დღემდე მაქვს მათთან ურთიერთობა. ხშირად ჩხუბობდნენ – „არა მე უნდა ამიყვანოს ხელში, არა მეო“. ფეხმძიმედ რომ დავრჩი, არ ვუთხარი ბავშვების მშობლებს, რომ სამსახურიდან არ გამოვეშვი. 7 თვემდე ვინახე საიდუმლო. ერთხელაც, მორიგი ჩხუბის დროს, მელიას, რომელიც უფროსი იყო, ანუ 4 წლის, ვუთხარი: – „შენ უკვე დიდი გოგო ხარ, ერთი საიდუმლო უნდა გითხრა და დედიკოსთან და მამიკოსთან არ გამცე, თორემ სახლიდან გამაგდებენ და ძიძა არ გეყოლებათ-მეთქი“. იმდენად ვუყვარდი, შეეშინდა, პირობა მომცა, რომ არ გამთქვამდა. მაშინ გავუმხილე: ორივე რომ აგიყვანოთ ხელში, ვერ შევძლებ, რადგან მუცელში პატარა გოგონა მყავს და არ შეიძლება-მეთქი. ტირილი დაიწყეს, აღარ გთხოვთ აყვანასო და მართლაც, პირობა შეასრულეს, ორი თვე არ უთქვამთ მშობლებისთვის ჩემი ფეხმძიმობის ამბავი. რადგანაც საიდუმლო შემინახეს, მეც შევასრულე დანაპირები და მათი არჩეული სახელი დავარქვი ანა-მარიას. ანა-მარიას მამა ხუმრობდა, – ათენში ანა-მარია დავუძახოთ, თბილისში – ანი; რუსთავში – ანა და კახეთში – მაროო. ორი წლის ანა-მარია მოვნათლეთ ათენში, ნათლიები ანსამბლ „ოთხი გიას“ წევრები გახდნენ, რადგან მათი გასტროლები დაემთხვა ათენში, კონცერტზე „ოთხი გია ოცი წლის შემდეგ“ და რადგანაც ინსტიტუტიდან ვმეგობრობდით, ოთხივემ მომინათლა. მოძღვარმა თეიმურაზ კალანდაძემ, რომელმაც ნათლობის ცერემონია ჩაატარა, მკითხა, – „ლიგია, რა ამბავია ამდენი ნათლიაო?!“ ისეთი ცელქი იყო ბავშვობაში, მეგონა, თუ ბევრი ნათლია ეყოლებოდა, დაჭკვიანდებოდა. მეტი არ იქნა ჩვენი მტერი. თუმცა, ნათლიებმა სიმღერის ნიჭი მართლაც დაანათლეს. 4 წლის იყო, პირველად სცენაზე რომ დადგა ბატონ თემურ წიკლაურის კონცერტზე და შეასრულა სიმღერა კინოფილმიდან „მანანა“. მისმა პედაგოგმა, ქალბატონმა ქეთევან ხატიაშვილმა მითხრა, რომ ანა-მარიას თემურ წიკლაურის კონცერტზე უნდა ემღერა, სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიე (ქეთევან ხატიაშვილი ანსამბლ „ნერგების“ ხელმძღვანელი გახლდათ თბილისში, ათენშიც ჩამოაყალიბა ბავშვების ანსამბლი), – ბავშვი ჯერ ვერ მეტყველებს წესიერად და როგორ უნდა იმღეროს-მეთქი? თან არ მინდოდა, ვინმეს ჩემი „ჩაწყობილი“ ჰგონებოდა (რადგანაც მე ვიყავი კონცერტის ორგანიზატორი), ქეთინომ მითხრა, – ქალბატონო ლიგია, მე თქვენზე ძალიან ჩემი სახელი მაინტერესებს, თუ ბავშვს არ გამომაყვანინებთ კონცერტზე, ჩემთან აღარ მოხვიდეთო. იძულებული ვიყავი, დავთანხმებოდი. მახსოვს, ანა-მარია რომ გამოიყვანეს და სცენაზე დააყენეს, მიკროფონს ვერ სწვდებოდა. დარბაზის შუაში დავდექი და სახეზე ხელები ავიფარე. მთელი დარბაზი მე მიყურებდა. როგორც კი დაიწყო სიმღერა, ნელ-ნელა გამოვიხედე. მერე უფრო მეტად გავსწორდი წელში და სიმღერა რომ დაამთავრა და ტაშით დაინგრა დარბაზი, მივხვდი, რომ გადავრჩი. ალბათ იმანაც ითამაშა როლი, რომ ცეროდენა იყო და ძალიან ძლიერ ხმას გამოსცემდა. მის მერე 25 კონცერტში მიიღო მონაწილეობა.

ლიგიამ ამ წლების მანძილზე, ასე ვთქვათ, ნაყოფიერად იშრომა, იღვაწა ემიგრაციაში, თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა ათენში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების დაახლოების საქმეში.

9 დეკემბერს ქალაქ რუსთავში მრავალწლიანი მოღვაწეობის შემაჯამებელი საღამოს და ამასთან ერთად ახალი ორგანიზაცია „ლამარიას“ პრეზენტაცია მოაწყო. „ლამარია“ სვანური ქალღვთაებაა. ამასთან ერთად კი ლიგიას დედის (ლამარას) და ქალიშვილის ანა-მარიას სახელებია გაერთიანებული.

წარმატებები ვუსურვოთ ამ მოუსვენარ ქალბატონს – ემიგრანტს, ხელოვანს და დედას!..

ესაუბრა
ციური ბაჯელიძე,
ათენი-თბილისი

სატენდერო განცხადება

63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T-02 კონსერვაციის და 63 მვა 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T=01 ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მომსახურების შესყიდვის შესახებ, ახალციხის (ახალციხე-500) გარდამქმნელ ქვესადგურში

შპს „ენერგოტრანსი“ აცხადებს 63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T-02 კონსერვაციის და 63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T=01 ტექნიკური შეფასების მომსახურების შესყიდვის ტენდერს, ახალციხის (ახალციხე-500) გარდამქმნელ ქვე-სადგურში.

სატენდერო პროცედურა ჩატარდება შპს „ენერგოტრანსის“ „საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის წესის“ შესაბამისად.

მომსახურების მიზანს წარმოადგენს ტრანსფორმატორის (ქარხნული ნომრით# 30T110119.02) მოქმედი ნაწილების და ასაწყობი ნაწილების კონსერვაცია, საიზოლაციო დეტალების, საშუალო ძაბვის და დაბალი ძაბვის ელ. გრაგნილების და მაგნიტური სადენის დაცვის მიზნით, ახალციხის (ახალციხის-500) გარდამქმნელ ქვე- სადგურში.

მომსახურება მოიცავს შემდეგ საქმიანობას:

N	მომსახურების ტიპი	გაწზომილების ერთეული	რაოდენობა
I	**63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T-02 კონსერვაცია**		
1	მოსამზადებელი სამუშაოები	ლოტი	1
2	ტრანსფორმატორის მაგნიტური სადენის აწყობა	ლოტი	1
3	ბარიერის და ელ. უღელის იზოლაციის კონსერვაცია	ლოტი	1
4	მოქმედი ნაწილის მონტაჟი ავზში	ლოტი	1
5	მოქმედი ნაწილის კონსერვაცია ტრანსფორმატორის ავზში	ლოტი	1
6	ასაწყობი ნაწილების კონსერვაცია	ლოტი	1
II	63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T=01 ტექნიკური მდგომარეობის შეფასება ახალციხის (ახალციხე-500) გარდამქმნელ ქვე-სადგურში	ლოტი	1

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველი, ზეთის დაღვრის აღმოფხვრის გარანტიით, შემსყიდვლის მიერ მომსახურების მიღებიდან 12 თვის განმავლობაში.

ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ 1 თვიდან 2 თვემდე დროის მონაკვეთი მომსახურების განხორციელებისთვის. მომსახურების განხორციელების დრო გათვალისწინებული იქნება, როგორც შეფასების კრიტერიუმი 0.3 პრიორიტეტულობის კოეფიციენტით. ტენდერის იმ მონაწილეებს, რომელთა შემოთავაზების მიხედვით, მომსახურების განხორციელება გათვალისწინებულია 1 თვის ვადაში, მიენიჭებათ მაქსიმალური - 10 ქულა ამ კრიტერიუმისათვის.

აღნიშნული მომსახურებისთვის წარმოდგენილ ფასში გათვალისწინებული უნდა იყოს მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სახის ხარჯი. ფასში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

ფაქტიურად გაწეული მომსახურების (ფასების ცხრილის მიხედვით) ანაზღაურება განხორციელდება ლარში, სანაცვლო გადარიცხვის გზით, მომსახურების დასრულებაზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი ინვოისის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

ტენდერის მონაწილის გამოცდილება სატენდერო მოთხოვნების მიხედვით: ტენდერის მონაწილე უნდა ფლობდეს 400 (500) კვ ტრანსფორმატორების წარმოების და/ან შეკეთების მინიმუმ ხუთ (5) წლიან გამოცდილებას. სავალდებულოა ტენდერის მონაწილის, როგორც მწარმოებლის და/ან შემკეთებლის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა (ისეთი დოკუმენტები, როგორის არის წარმოებული და/ან შეკეთებული ტრანსფორმატორების ნუსხა და სხვ.).

ფასის კლების ბიჯი (შემდგომში: „ბიჯი“) ზეპირი ვაჭრობის დროს შეადგენს 4,000.00 (oTxi ათასი) ლარს. ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი: ბარათაშვილის ქ. #2, 0105, თბილისი, საქართველო, შემსყიდველის ოფისი.

ტენდერის მონაწილეებმა საკუთარ სატენდერო წინადადებებთან ერთად უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადების გარანტია - **საბანკო გარანტია.** აღნიშნული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას უნდა აღემატებოდეს მინიმუმ **30 კალენდარული დღით.** სატენდერო გარანტიის თანხა უნდა შეადგენდეს **6,000 ლარს (ექვსი ათასი).**

ტენდერის იმ მონაწილემ, რომელსაც შემსყიდველი გაუფორმებს კონტრაქტს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია - საბანკო გარანტია - **ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 %-ის ოდენობით.**

სატენდერო დოკუმენტის მისაღებად, დაინტერესებულმა პირებმა უნდა გადაიხადონ არანაზღაურებადი 50 (ორმოცდაათი) ლარი, შპს „ენერგოტრანსის“ ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

სს „თი-ბი-სი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ბანკის ანგარიში: GE37TB7731436030100001
მიმღები: შპს „ენერგოტრანსი“
დანიშნულება: სატენდერო დოკუმენტის საფასური ტენდერისათვის: T02 S 01-1/2017

ზემოთ აღნიშნული, არანაზღაურებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტის მიღება შესაძლებელი იქნება შპს „ენერგოტრანსის“ ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, შესყიდვის შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, 2017 წლის 27 დეკემბრის 18:00 სთ-მდე.

შემსყიდველის მისამართი:
შპს „ენერგოტრანსის“ მისამართი:
ბარათაშვილის ქ. #2,0105, თბილისი, საქართველო
ტელ: +(99532)2510391
ელ. ფოსტა:
m.gikoshvili@energotrans.com.ge

სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო ინფორმაცია ტენდერის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ზემოთ მითითებულ მისამართზე, არაუგვიანეს 2017 წლის 28 დეკემბრის 15:00 საათისა, ადგილობრივი დროით. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2017 წლის 28 დეკემბერს, ადგილობრივი დროით 15:00 სთ-ზე, ტენდერის იმ მონაწილეების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას. დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

სატენდერო წინადადება, ყველა საჭირო დოკუმენტების ჩათვლით, წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე. სატენდერო წინადადების წარმოდგენა უნდა მოხდეს დალუქული კონვერტით, რომელზეც მითითებული იქნება შემდეგი ინფორმაცია: ვის: შპს „ენერგოტრანსის“ სატენდერო კომისიას, ტენდერის მონაწილის დასახელება, სატენდერო პროცესის დასახელება, ტენდერის # T02 S 01-1/2017.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ტენდერის მონაწილეებმა საკუთარ სატენდერო წინადადებებთან ერთად, უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო ინფორმაცია:

ტენდერის მონაწილეებმა საქართველოდან:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
2. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

გ) ფიზიკური პირებისთვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

ტენდერის უცხოელი მონაწილეებისთვის:

1. პრეტენდენტის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაცემული უნდა იყოს ტენდერის მონაწილის ქვეყნის შესაბამისი უწყების მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

სატენდერო წინადადებები არ მიიჩნევა მისაღებად და არ დაექვემდებარება შემდგომ შეფასებას, იმ შემთხვევაში, თუ:

- ტენდერის მონაწილე არ წარმოადგენს ყველა სახის საჭირო დოკუმენტაციას (დამხმარე დოკუმენტაციასთან ერთად) და/ან ინფორმაციას, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო წარმოდგენას, მოცემული შესყიდვების განცხადების და სატენდერო დოკუმენტის მიხედვით;
- სატენდერო კომიიის მოთხოვნის საფუძველზე ტენდერის მონაწილე ვერ დააზუსტებს, შეავსებს, წარმოადგენს, ან დაადასტურებს საკვალიფიკაციო ინფორმაციას, რაც გათვალისწინებულია შესყიდვების მოცემული განცხადების მიხედვით;
- ტენდერის მონაწილე უარს აცხადებს სატენდერო კომისიის მიერ მის სატენდერო წინადადებაში გამოვლენილი არითმეტიკული (მექანიკური) შეცდომების გასწორებაზე;
- სატენდერო წინადადება და/ან საკვალიფიკაციო ინფორმაცია არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტით და/ან მოცემული შესყიდვების განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- ტენდერის მონაწილე იყენებს არასამართლიან პრაქტიკას, შესყიდვების პროცესში;
- ტენდერის მონაწილის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები, ან სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი მონაცემები, ან მათი დამადასტურებელი დოკუმენტები, აღმოჩნდება ყალბი.

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილის სატენდერო წინადადება შესაბამისობაშია სატენდერო დოკუმენტის ტექნიკურ მოთხოვნებთან, შესაძლებელი იქნება ტენდერის მონაწილის სატენდერო წინადადების დაზუსტება, ან შევსება, ან მოთხოვნილი საკვალიფიკაციო ინფორმაციის ხელახალი წარმოდგენა, სატენდერო წინადადების არსის ცვლილების გარეშე, სხვა შემთხვევაში სატენდერო წინადადება არ მიიღება შესაფასებლად.

ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული სატენდერო წინადადებების მიღება არ არის ნებადართული.

დაინტერესებულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტს შემსყიდველის ოფისში, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე.

მოცემული განცხადება შესყიდვის შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: www.energotrans.com.ge

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „ენერგოტრანსის“ ოფისში, ზემოთ მითითებულ მისამართზე.

საკონტაქტო პირები:

მაია გიქოშვილი, შპს „ენერგოტრანსის“ დირექტორის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი, ელ. ფოსტა: m.gikoshvili@energotrans.com.ge

თეა ტორიაშვილი, შესყიდვების მენეჯერი, ელ. ფოსტა: t.toriashvili@-energotrans.com.ge

---

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „პროგრესი 2000“-ის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით და გირავნობით დატვირთულ უძრავ-მოძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **იპოთეკის საგნების მესაკუთრე:** შპს „პროგრესი 2000“ (ს/ნ 208211175), ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი.

იპოთეკის საგნების ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

- ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი (საკადასტრო კოდი: 86.13.02.603);
- ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი (საკადასტრო კოდი: 86.13.02.637);
- ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი (საკადასტრო კოდი: 86.13.02.305);
- ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი (საკადასტრო კოდი: 86.13.02.358);
- ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი (საკადასტრო კოდი: 86.13.02.359).

იპოთეკის საგნების სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთები არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **გირავნობის საგნების მესაკუთრე:** შპს „პროგრესი 2000“ (ს/ნ 208211175), ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი.

გირავნობის საგნების მოკლე აღწერა:

ჩამოსასხმელი ხაზი – 1 ერთეული; მარკირატორი – 1 ერთეული; სარეცხი აუზი – 1 ერთეული; სარეცხი აუზი – 1 ერთეული; წყლის სახდელი კუბი – 1 ერთეული; 5ლტ გამრეცხი – 1 ერთეული; წყლის ნასოსი – 1 ერთეული; პროცესორი – 1 ერთეული; კონდეციონერი „არხული“ – 4 ერთეული; ბოთლის გასაბერი ფორმა – 1 ერთეული; გამრეცხის აუზი – 1 ერთეული; ურიკა ამწე – 1 ერთეული; სტაბილიზატორი – 1 ერთეული; 20ლბ ჩამომსხმელი ხაზი აპარატურა – 1 ერთეული; ტუმბო – 2 ერთეული; უჟანგავი რეზერვუარი – 1 ერთეული; კომპრესორის თავი AB 85114 – 4 ერთეული; ოზონატორი – 1 ერთეული; 20 ლიტრიანი ბალონების თავზე პლასტიკური ეტიკეტის შემომკვრელი მანქანა – 1 ერთეული; 20 ლიტრიანი ბალონების სარეცხი – 1 ერთეული; ვიტრინა მაცივარი – 31 ერთეული; წყლის ბიდონი 19ლ – 2030 ერთეული; წყლის დისპენსერი TCLTY-LYR32B – 64 ერთეული; წყლის დისპენსერი BY110-3 silver – 3 ერთეული; წყლის დისპენსერი TCLTY-LYR32B – 9 ერთეული; დისპენსერი BSS 2210 (კომპლექტში) – 1 ერთეული; დისპენსერი BOSCH-RDW1270 – 8 ერთეული; წყლის დისპენსერი BY110-3 white – 93 ერთეული; წყლის დისპენსერი NOBEL NWD 1559R – 60 ერთეული; წყლის დისპენსერი NOBEL NWD 1558 – 30 ერთეული; წყლის დისპენსერი MEGA MWD501 – 35 ერთეული; წყლის დისპენსერი – 3 ერთეული; წყლის დისპენსერი BY110-3 silver – 5 ერთეული; წყლის დისპენსერი BY110-3 white (with cabinet) – 86 ერთეული; წყლის დისპენსერი BY110-3 white – 5 ერთეული; წყლის დისპენსერი NOBEL NWD 333W – 21 ერთეული; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია №00291 (ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი 11.09.2006 წელი).

გირავნობის საგნების სამართლებრივი მდგომარეობა: გირავნობის საგნები არ არის დატვირთული გარდამავალი ვალდებულებებით.

3. **იპოთეკის და გირავნობის საგნების საწყისი ფასი:** 283019.63 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ-ის თანხა 43171.81 ლარი).

4. **იპოთეკის და გირავნობის საგნების რეალიზაციის ფორმა:** იპოთეკის და გირავნობის საგნების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;

5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 25 დეკემბერი, 12:00 საათი;

6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

7. **მოვალე:** შპს „პროგრესი 2000“ (ს/ნ 208211175), ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი.

8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

9. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურ-

PROCUREMENT NOTICE FOR

Procurement of Services for Conservation of 63 MVA, 400 kV Transformer, No. #20-T-02 and Evaluation of technical condition of 63 MVA, 400 kV, Transformer #20-T=01 at Converter Station Akhaltsikhe-500

"Energotrans" Ltd announces Bidding for Procurement of Services for Conservation of 63 MVA, 400 kV Transformer, No. #20-T-02 and Evaluation of technical condition of 63 MVA, 400 kV, Transformer #20-T=01 at Converter Station Akhaltsikhe-500.

The Bidding procedure will be conducted in accordance with the "Rule of Procuring goods, services and works by "Energotrans" Ltd.

The objective of the services is conservation of active parts and assembly units of Transformer with the Factory Number 30T110119.02 for protection of insulation details, MV (Medium Voltage) and LV (Low Voltage) windings and coil flux guide at Akhaltsikhe-500 Converter Station.

The services comprise the following activities:

N	Type of Service	Measurement Unit	Q-ty
I	**Conservation of 63 MVA, 400 kV Transformer, No. #20-T-02**		
1	Preparatory works	Lot	1
2	Assembling of coil flux guide of Transformer	Lot	1
3	Conservation of barrier and yoke insulation	Lot	1
4	Installation of active part at the tank	Lot	1
5	Conservation of active part at the transformer tank	Lot	1
6	Conservation of assembling units	Lot	1
II	Evaluation of technical condition of 63 MVA, 400 kV, Transformer #20-T=01 at Converter Station Akhaltsikhe-500	Lot	1

The Contactor shall provide the Purchaser with warranty for the elimination of oil leakage within 12 months period after acceptance of services by the Purchaser.

The Bidders are allowed to propose delivery period of service from 1 months up to 2 months period. Delivery Term will be used as an evaluation criteria with the priority ratio of 0.3. Bidders offering service delivery within 1 month period will be awarded the maxim grade of 10 for this criteria.

The Price for above mentioned services shall be submitted considering all associated costs. The prices should comprise all taxes envisaged under Georgian Legislation.

The payment for the actually provided services (as per the Table of prices) will be made in GEL by bank transfer within 20 working days from the date of signing the Final Acceptance Certificate for completion of services and submission of relevant invoice.

Required experience of the Bidder: The Bidder should have at least five (5) years of experience in manufacturing and/or repairing 400 (500) kV transformers. Document proving Bidders experience in manufacturing and/or repairing shall be submitted (documents such as: list of produced and/or repaired transformers, etc.).

Price reduction step during Oral trading (reverse Auction) (later "step") is GEL 4,000.00 (four thousand). The place for conducting the Oral Trading (Reverse Auction) is: 2, Baratashvili Str., Tbilisi, 0105, Georgia, Office of the Purchaser.

The Bidders shall furnish with their Bid a Bid Security - **Bank Guarantee** - with the validity period of at least by **30 calendar days more** than the validity of the Bid submitted by Bidder. The amount of Bid Security shall be **GEL 6000 (six thousand).**

The Bidder who will be awarded the contract shall furnish a performance security – Bank Guarantee – in the amount of of **3% of the total contract price.**

For obtaining Tender Document the interested Entities shall pay non-refundable fee in the amount of GEL 50 (fifty) on the following bank account of "Energotrans" Ltd:

"TBC Bank" JSC
Code: TBCBGE22
Bank Account: GE37TB7731436030100001
Beneficiary: "Energotrans" Ltd
Purpose: Bidding Document fee for the Bidding: T02 S 01-1/2017

Upon submission of document proving the payment of abovementioned non-refundable fee the Bidding Document shall be obtained in the office of "Energotrans" Ltd on the address indicated below from the date of Procurement Notice Publication until December 27, 2017, 18:00.

Address of the Purchaser:
Office of "Energotrans" Ltd
2, Baratashvili Str., Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +(99532)2510391
E-mail:
m.gikoshvili@energotrans.com.ge

Bidders' Bids and Qualification Information shall be submitted by the Bidders on the address indicated above on or before December 28, 2017, 15:00 local time. The Bids will be opened on December 28, 2017, 15:00 local time in the presence of those Bidders who choose to attend. Late Bids will be rejected.

The Bid including all necessary documents shall be submitted in English language. The Bid shall be submitted in a sealed envelope indicating the following information: To: Bidding Commission of "Energotrans" Ltd, Name of the Bidder, Name of the Bidding Process, Bidding # T02 S01-1/2017.

For participation in the Bidding the Bidders should submit the following qualification information together with their Bid:

For Georgian Bidders:

a) For legal entities and individual entrepreneurs of private law:

1. Extract from the Register of Entrepreneurs and Non-Entrepreneurial (non-commercial) Legal Persons;
2. Certificate of public/legal restrictions (from National Agency for Public Registry)
3. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

b) For Legal Entities under Public Law:

1. Certificate of public/legal restrictions (from National Agency for Public Registry)
2. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

c) For physical persons:

1. Certificate of public/legal restrictions (from National Agency for Public Registry);
2. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

For foreign Bidders:

1. Document indicating legal status of the Bidder issued by the relevant body of the Bidder's country in accordance with the applicable law;
2. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

The Bids will not be considered as acceptable and will not be allowed for further evaluation in the following cases:

- If the Bidder fails to submit all necessary documents (with supporting documentation) and/or information required by this procurement notice and Bidding Document;
- If in case of the request of the Bidding Commission the Bidder fails to specify, complete, submit or reconfirm the qualification information required by this procurement notice;
- If the Bidder refuses to correct arithmetical (mechanical) errors revealed in its Bid by Bidding Committee;
- If the Bid and/or qualification information are incompliant with the requirements prescribed in the Bidding Document and/or this procurement notice;
- If there is noted applying of unfair practice by the side of the Bidder in the process of procurement;
- Qualification data submitted by Bidder or the data given in the Bid, or the documents confirming them are found out to be false.

In case when the Bidder's Bid is in compliance with the technical requirements of the Bidding Document it is allowed to specify or complete the Bidder's Bid or resubmit required qualification information without changing the Bid's substance, otherwise The Bid will not be considered for evaluation.

The Bidder should submit only one Bid. Alternative Bids are not allowed.

Interested Legal entities may familiarize with the Bidding Document in the office of the Purchaser until the deadline for Bid submission.

This procurement Notice will be also published on the website of the Purchaser: www.energotrans.com.ge

Additional information could be obtained in the office of "Energotrans" Ltd at the address indicated above.

Contact persons:

Maia Gikoshvili, Deputy Director of "Eenergotrans" Ltd, Bid Commission Member, E-mail: m.gikoshvili@energotrans.com.ge

Tea Toriashvili, Procurement Manager, E-mail: t.toriashvili@energotrans.com.ge

---

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

ველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია სარეალიზაციო ნივთების საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს სარეალიზაციო ნივთების ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია", ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო ნივთებზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 25 დეკემბრის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „დავიდეს" საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „დავიდე" (ს/ნ 406112601), თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვარკეთილის დასახლება, ზემო პლატო, ნაკვეთი 05/063.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქ. №18, სადარბაზო 1, სართული 3, ბინა №9 (საკადასტრო კოდი: 01.19.36.014.-567.01.01.009).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 48769.73 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 13 დეკემბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 27 დეკემბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP-48617717;

აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 486177

6. **მოვალე:** ეკატერინე მაქაძე (პ/ნ 38001005076), საჩხერე, სოფელი ორღული.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

8. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB11887-36020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP48617717; ლოტის ნომერი: 486177).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 27 დეკემბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ ჭადრაკი

რაპიდსა და ბლიცში

24 დიდოსტატი, საერთაშორისო და ეროვნული ოსტატი მონაწილეობდა საქართველოს ქალთა გრან-პრის ბოლო, მეოთხე ეტაპის გათამაშებაში რაპიდსა და ბლიცში, რომელსაც ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა.

რაპიდში (სწრაფი ჭადრაკი) შვეიცარიული სისტემით ცხრა ტური გაიმართა. შესანიშნავად იასპარეზა მერი არაბიძემ, რომელმაც ცხრა შესაძლებლობიდან შვიდი ქულით პირველი ადგილი დაიკავა. 6.5 ქულით

მარცხნიდან – მერი არაბიძე, სოფიკო ხუხაშვილი და სალომე მელია.

მეორე ადგილი ქეთი წაწალაშვილს ხვდა, ხოლო 6-6 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები, შესაბამისად, სოფიკო ხუხაშვილმა და მაკა ფურცელაძემ გაიყვეს.

ბლიცშიც (ელვისებური ჭადრაკი) ცხრაჯერ შეხვდნენ მეტოქეები ერთმანეთს. აქ ყველას სოფიკო ხუხაშვილმა აჯობა, რომელმაც 7.5 ქულით მოიპოვა მთავარი პრიზი. 6.5 ქულით მეორე იყო მერი არაბიძე, 6 ქულით კი მესამე ადგილზე სალომე მელია გავიდა. ამდენივე ქულა მოაგროვა მირანდა მიქაძემაც, მაგრამ უარესი დამატებითი მაჩვენებლებით მე-4 ადგილს დასჯერდა.

გივი გაგუა

◎ ხელბურთი

სათავეში – „პეგასი“ და „სამტრედია“

2002-2003 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატის მონაწილეებმა გასულ უქმეებზე მეორე წრის მორიგი ტურის პაექრობები სენაკსა და თელავში გამართეს. ლიდერებმა – „პეგასმა“ და „სამტრედიამ“ მორიგი მატჩები მოიგეს და მოწინავე პოზიციები განიმტკიცეს. აღმოსავლეთი.

„თელავი“ – „ყვარელი“ 16:16, „რუსთავი“ – „პეგასი“ 14:34, „გორი“ – „ქარიშხალა“ 15:18, „თელავი“ – „რუსთავი“ 26:28, „გორი“ – „ყვარელი“ 15:30, „პეგასი“ – „ქარელი“ 33:22.

10 ტურის შემდეგ: „პეგასი“ – 20 (299:115), „ყვარელი“ – 15 (186:147), „ქარიშხალა“ – 12 (186:184), „თელავი“ – 7 (176:183), „რუსთავი“ – 6 (189:258), „გორი“ – 4 (139:211), „ქარელი“ – 2 (166:243) ქულა.

დასავლეთი. ჩემპიონატს გამოეთიშა ზუგდიდის გუნდი, რომლის შედეგები გაუქმდა, ამან კი ცხრილში ცვლილებები გამოიწვია. „ბათუმი“ – „ფოთი“ 23:15, „ქუთაისი“ – „ხელვაჩაური“ 34:32, „აჭარა“ – „სამტრედია“ 17:25, „ბათუმი“ – „ხელვაჩაური“ 34:25, „ფოთი“ – „ქუთაისი“ 25:27.

რვა ტურის შემდეგ: „სამტრედია“ – 15 (196:122), „ბათუმი“ – 13 (205:144), „აჭარა“ – 10 (206:166), „ქუთაისი“ – 6 (145:243), „ფოთი“ – 4 (158:183), „ხელვაჩაური“ – 0 (176:228) ქულა.

16-17 და 23-24 დეკემბერს ბოლო ორი ტურის მატჩები გაიმართება და ორივე რეგიონული ლიგის 4-4 საუკეთესო გუნდი 2018 წელს საქართველოს ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

ლაშა დიდია

◎ პატივი

ამერიკის ჰიმნიც, ქართული ჰანგებიც...

20 დეკემბერს „Oracle Arena“-ზე გასამართ ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მატჩში, რომელშიც ერთმანეთს „გოლდენ სტეიტი“ და „მემფისი“ დაუპირისპირდებიან, ზაზა ფაჩულიას სახელობის სათამაშო „Bubble Head“ დარიგდება.

თამაშის დაწყებამდე ამერიკის ჰიმნს ქართული ანსამბლი „შვიდკაცა“ შეასრულებს, დიდ შესვენებაზე კი 3 ქართულ სიმღერას იმღერებს. ქართული ანსამბლის ამერიკაში მიწვევა მას შემდეგ გადაწყდა, რაც ნბა-ს ჩემპიონმა, საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ ჩემპიონის თასი საქართველოში ამოგზაურა, ხოლო „შვიდკაცა“ აქტიურად გახლდათ ჩართული სპეციალურად გამართულ ღონისძიებებში და „გოლდენ სტეიტის“ პრესსამსახურის თანამშრომელთა სიმპათიაც დაიმსახურა.

ნბა-ს მოქმედი ჩემპიონის პრესსამსახური ზაზა ფაჩულიას საქართველოში ჩამოჰყვა. ჯგუფი სამი წევრისგან შედგებოდა – თასზე პასუხისმგებელი პირი, ჟურნალისტი და ოპერატორი, რომელიც გუნდის და ნბა-ს ვარსკვლავის სტეფ კარის პირადი ოპერატორი გახლავთ და ჩვენს ქვეყანაში გუნდის ხელმძღვანელობის თხოვნით გამოემგზავრა. ქართული ანსამბლი ოკლენდში 15 დეკემბერს გაემგზავრება და მონაწილეობას მიიღებს „გოლდენ სტეიტის“ მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

დავით ნოზაძე („შვიდკაცა“): „აგვისტოში აქტიურად ვიყავით ჩართული ღონისძიებებში, რომელიც ნბა-ს საჩემპიონო თასის საქართველოში მოგზაურობას მიეძღვნა. ერთ-ერთი შეხვედრის დროს „გოლდენ სტეიტის“ პრესსამსახურის წარმომადგენელმა, რომელიც ზაზა ფაჩულიას თბილისში ჩამოჰყვა, გამოთქვა სურვილი, რომ 20 დეკემბერს „გოლდენ სტეიტი“

– „მემფისის“ მატჩზე გვემღერა, რომელზეც ზაზა ფაჩულიას სახელობის სათამაშოები დარიგდებოდა. ცხადია, შემოთავაზებას ჩვენგან მაშინვე თანხმობა მოჰყვა, რის შემდეგაც გვთხოვეს ამერიკის ჰიმნის ჩვენი ინტერპრეტაციით შესრულება და ოკლენდში გაგზავნა. ჰიმნი „გოლდენ სტეიტის“ პრეზიდენტმა მოისმინა და მიწვევაც მივიღეთ. რა თქმა უნდა, ეს არის არამარტო ჩვენი, არამედ ქართველი გულშემატკივრის და მსმენელის წარმატება და, ცხადია, ზაზა ფაჩულიას მიერ გაწეული უდიდესი შრომის შედეგი. სწორედ ზაზას დამსახურებაა ჩვენი იქ მოხვედრა. ქართველი ცენტრი მართლაც საოცარი მოთამაშე და ადამიანია“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

წინაპართა ნაკვალევზე

ლონდონის „ტოტენჰემის“ მთავარი მწვრთნელი მაურიციო პოჩეტინო ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „იუვენტუსთან“ შეხვედრით ძალზე ბედნიერია.

როგორც არგენტინელი აღნიშნავს, ეს იქნება ფანტასტიკური დაპირისპირება და ახარებს, რომ ტურინში მოუწევს ჩასვლა.

„განსაკუთრებული თამაში იქნება – ძალიან ბედნიერი ვარ, რომ „იუვენტუსს“ დავუპირისპირდებით. მეტიც, ეს ფანტასტიკურია! ჩემი ოჯახი წარმოშობით იტალიიდანაა, კერძოდ, ტურინიდან და გვარიც იტალიური მაქვს.

„იუვენტუსი“ არის გუნდი, რომელთანაც თამაში ყოველთვის მსურდა. შესანიშნავი იქნება ტურინში წასვლა და მის სტადიონზე თამაში. ძალზე კონცენტრირებულებმა უნდა ვიბრძოლოთ“, – აღნიშნა პოჩეტინომ.

უეფას ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველი მატჩი ტურინში 13 თებერვალს შედგება, ხოლო საპასუხო ლონდონში – 7 მარტს.

გიორგი ზოთაძე

◎ მეტოქე

კარპატული წინაღობა

ევროპული რაგბის „კონტინენტის ფარის“ დასკვნით ტურში „ბათუმი“ 16 დეკემბერს 15 საათზე რუმინეთის ჩემპიონ „ტიმიშოარა-სარასენსს“ უმასპინძლებს და გამარჯვების შემთხვევაში ფლეი ოფში თამაშს დაიბევებს.

„ტიმიშოარა-სარასენსი“ ბოლო წლებში რუმინეთის ყველაზე წარმატებული კლუბია. უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში (სუპერლიგის დაარსებიდან) მან 4-4-ჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი და თასი, ერთხელ კი სამეფო თასს დაეუფლა. ის „მუხების“ საბაზო გუნდია და მის შემადგენლობაში ნაკრების 20 მორაგბე თამაშობს, რომელთა შორის კატალინ ფერკუ (98 კეპი), ვალენტინ პოპირლანი (67 კეპი) და ანდრეი რადოი (54 კეპი) ყველაზე გამოცდილები არიან. ასევე „ტიმიშოარა-სარასენსის“ ღირსებას იცავენ ტონგელი (6 მორაგბე), ფიჯელი, ახალზელანდიელი (2), ავსტრალიელი, ბრიტანელი, არგენტინელი და სამხრეთაფრიკელი (3) ლეგიონერები.

კლუბი 1949 წელს დაარსდა და 1972 წელს პირველად გახდა რუმინეთის ჩემპიონი. „უნივერსიტატეა ტიმიშოარა“ (მაშინ გუნდს ასე ეწოდებოდა) იყო პირველი პროვინციული გუნდი 58-წლიან ისტორიაში, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონის თასი დედაქალაქიდან წაიღო.

მან ჩემპიონის ტიტული 40-წლიანი პაუზის შემდეგ დაიბრუნა (2012) და ის მომავალ სეზონშიც შეინარჩუნა. 2014 წელს „ტიმიშოარა“ ლონდონის „სარასენსს“ დაუმეგობრდა. მართალია, მან იმ წელს ჩემპიონობა დაკარგა, მაგრამ ტიტული მომავალ წელს დაიბრუნა და 2016/2017 წლების სეზონში, უკვე შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით გამართულ ჩემპიონატში კვლავ პირველ ადგილზე გავიდა. „ტიმიშოარა-სარასენსმა“ ქვეყნის თასი 2011, 2014, 2015 და 2016 წლებში შემართა და აღსანიშნავია, რომ 8-ვე ფინალში (ჩემპიონატში და თასზე) „ბაია მარე“ დაამარცხა. 2015 წელს მან რუმინეთის სამეფო თასიც მოიგო.

2017-2018 წლების სეზონში „ტიმიშოარა-სარასენსმა“ რუმინეთის სუპერლიგის 3 თამაში მოიგო, 2 ფრედ დასრულა, ერთხელ დამარცხდა და 18 ქულით მე-4 ადგილზეა. ჩემპიონატი აპრილში განახლდება.

„ტიმიშოარა-სარასენსმა“ „კონტინენტის ფარზე“ პირველად 2015-2016 წლების სეზონში ითამაშა (მანამდე ჩელენჯ ქაფზე რუმინეთის კლუბების ნაკრები გამოდიოდა) და ჯგუფურ ეტაპზე ოთხივე შეხვედრა მოიგო, ფლეი ოფში იტალიურ „კალვიზანოს“ ორი მატჩის ჯამში 64:40 სძლია (36:23 შინ, 28:17 სტუმრად) და 2016-2017 წლების ჩელენჯ ქაფზე გავიდა, სადაც ჯგუფურ ეტაპზე „ედინბურგს“, „სტად ფრანსეს“ და „ჰარლექინზს“ შეხვდა და ექვსივე თამაში წააგო.

წელს გაზაფხულზე რუმინეთის ჩემპიონი საქართველოს ეწვია და ჩელენჯ ქაფის ფლეი ოფის პირველ მატჩში რუსეთის ვიცე-ჩემპიონ „კრასნი იარს“ რუსთავში 17:12 მოუგო, თუმცა, განმეორებით შეხვედრაში 18:27 დამარცხდა და „კონტინენტის ფარზე“ დარჩა.

ჯგუფურ ეტაპზე „ტიმიშოარა-სარასენსმა“ სამივე შეხვედრა მოიგო: იტალიურ „პეტრარკას“ შინ 29:25 სძლია, ლისაბონის უნივერსიტეტს პორტუგალიაში 45:10 მოუგო, ხოლო გასულ შაბათს კიდევ ერთი იტალიური კლუბი, ამ ქვეყნის ჩემპიონი „კალვიზანო“ 15:13 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ამ თამაშს ქართველი მსაჯები უძღვებოდნენ და რეფერი ნიკა ამაშუკელი იყო. ამრიგად, რუმინეთის ჩემპიონი „ა“ ჯგუფს 13 ქულით ლიდერობს, 2-ით უსწრებს „როვიგოს“ და 5-ით – „ჰაიდელბერგს“, რაც მას ერთი ბონუს-ქულის აღების შემთხვევაში ფლეი-ოფში გასვლას უნაღდებს.

შეგახსენებთ, რომ ფლეი-ოფში ჯგუფიდან ორ-ორი გუნდი გადის, „ბ“ ჯგუფში პირველ ადგილზე „ბათუმია“ (8 ქულა) და გამარჯვების შემთხვევაში ის ფლეი-ოფში ითამაშებს.

კობა კობახიძე

მძღოლებო, მოემზადეთ ძველი მანქანების ჯართში ჩასაბარებლად!

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექდათვალიერება აღარ გაგრძელდება!

საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება 2018 წლის პირველი იანვრიდან დაიწყება, რისი მიზანიც ტექნიკური გაუმართაობის აღმოფხვრა (რაც ავარიების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია) და გარემოს დაბინძურებისაგან დაცვაა.

ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირება ეტაპობრივად განხორციელდება და ინსპექტირებას საქართველოს მთელი ავტოპარკი, მომდევნო ორი წლის განმავლობაში, 2019 წლის ბოლომდე გაივლის.

რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს მანქანა? რა თანხა დაუჯდება მესაკუთრეს ტექნიკური ინსპექტირება? როდის მოუწევს მანქანის შემოწმება და ა.შ. – FOR.GE შეეცადა, ყველა იმ კითხვაზე გაეცა პასუხი, რომელიც ყველა მანქანის მესაკუთრეს აინტერესებს.

– როდის და რა კატეგორიის მანქანებს შეეხება ტექნიკური ინსპექტირება?

– 2018 წლის 1 იანვრიდან პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება სამგზავრო (8 ადგილის ზემოთ) და სატვირთო ავტომობილებს (3,5ტ. ზემოთ) შეეხებათ; 2018 წლის 1 ივლისიდან – იურიდიული პირებისა და სახელმწიფო უწყებების საკუთრებაში არსებულ ავტომობილებს; 2018 წლის 1 ოქტომბრიდან – დიდი მოცულობის ძრავების მქონე ავტომობილებს (3.0 ძრავით და ზემოთ), ხოლო 2019 წლის 1 იანვრიდან ინსპექტირებას გაივლის საქართველოს დანარჩენი ავტოპარკი.

– რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ტექდათვალიერებისას ავტომობილები?

– ეს მოთხოვნებია: მუხრუჭები, საჭის მართვის სისტემა, ხილვადობა, ფარები, ღერძულა, შასი და მისი შემადგენლები და გამონაბოლქვი. რაც შეეხება მავნე გამონაბოლქვს, ნებისმიერი ავტომობილისთვის, იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მას კატალიზატორი, იმოქმედებს გამონაბოლქვის მაქსიმუმ დასაშვები ნორმა, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს გამართული წვის სისტემის მქონე ავტომობილმა.

– რა თანხა დაუჯდება მძღოლს მანქანის ინსპექტირება და რამდენჯერ?

– მსუბუქი ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირება 60 ლარი, ხოლო სატვირთო და სამგზავრო ავტომობილების – 100 ლარი ეღირება.

2018 წლის პირველი იანვრიდან 4 წლამდე მსუბუქ ავტომობილებს არ შეეხებათ ტექნიკური ინსპექტირება; 4-8 წლამდე მანქანებს ორ წელიწადში ერთხელ მოუწევთ შემოწმება; 8 წლის ზემოთ მანქანებს – ყოველწლიურად.

რაც შეეხება სასწრაფო დახმარების მანქანებს და ტაქსებს (ლიცენზიის აღების შემდეგ) 4 წლამდე და 4 წლის ზემოთაც ყოველწლიურად მოუწევთ შემოწმება.

– რომელი წლის მანქანა რა რაოდენობითაა საქართველოში?

– 3 წლამდე მანქანა არის 1,3% – სულ 11695; 4-6 წლამდე მანქანა არის 2,3% – სულ 21 000-მდე; 7-10 წლამდე არის 5,4% -სულ 48 500 მანქანა; 11-20 წლამდე 404 000-ზე მეტი მანქანა; 20 წელზე ზემოთ არის 46% – სულ 413 000 მანქანა.

– როდის მოუწევთ ავტომობილების მფლობელებს ტექნიკური ინსპექტირების გავლა?

– მანქანის გამოშვების თარიღის მიხედვით მიხვდება ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი, როდის და რა პერიოდულობით შეეხება მის ავტომობილს ტექნიკური ინსპექტირების გავლა. გრაფიკი გაწერილი იქნება ავტომანქანების რეგისტრაციის თარიღის (თვისა და რიცხვის) მიხედვით, რაც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელებს მისცემს საკმარის ვადას, მოემზადონ ტექდათვალიერებისთვის და ასევე გაითვალისწინონ რიგების წარმოქმნის რისკები.

– რა ბედი ელის მარჯვენასაჭიან მანქანებს?

– 2018 წლის იანვრიდან აიკრძალება გადატანილი საჭიანი მანქანების შემოყვანა და ასევე უკვე ჩამოყვანილი მანქანების საჭის გადატანა, რადგან ტექნიკური ინსპექტირებისას ეს ხარვეზი დაფიქსირდება და მძღოლს მანქანის გამოყენების საშულება აღარ ექნება. თუმცა იმ მანქანებს, რომლებსაც უკვე აქვთ გადატანილი მარჯვენა საჭე, ამ შემთხვევაში მათზე ამნისტია გამოცხადდება.

– რამდენად მზადაა ქვეყანა ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით მანქანების ტექნიკური ინსპექტირებისთვის?

– საქართველოში დღეს არსებული ინფრასტრუქტურა მოიცავს ტექნიკური ინსპექტირების 26 ცენტრს, სადაც დამონტაჟებულია ინსპექტირების 35 ხაზი, თუმცა ეკონომიკის სამინისტროში ვარაუდობენ, რომ წლის ბოლოს და მომავალი წლის განმავლობაში სავალდებულო, საერთაშორისო სტანდარტების მქონე ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

შვეიცარიულმა კომპანია SGS-მა ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის მოთხოვნების განსაზღვრას და პერსონალის ტექნიკურ კვალიფიკაციას ეხება. კომპანია SGS პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებისთვის მომზადების პროცესში კონსულტაციას ეკონომიკის სამინისტროს უწევს.

როგორც უწყებაში აცხადებენ, პროცესი იქნება გამჭვირვალე – პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დროს აღრიცხვა-კონტროლის მონაცემები უწყვეტ რეჟიმში გადაეცემა და შეინახება ერთიან ელექტრონულ ბაზაში, ასევე ინსპექტირების ყველა ცენტრი აღჭურვილი იქნება ვიდეოთვალთვალის კამერებით და მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშწორებით.

უახლოეს ხანში დაიწყება ფართო საინფორმაციო კამპანია, რის შედეგადაც ყველა დაინტერესებული ადამიანი მიიღებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართება პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესი და რა პერიოდში, რომელი კატეგორიის ავტომობილებს შეეხებათ.

ამოქმედდება ცხელი ხაზი ნომრით – 1484. ამასთან, შეიქმნება ვებ-გვერდი, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეეძლება მისთვის სასურველ ტესტირების ცენტრში ვიზიტი დაგეგმოს.

ყველა ავტომფლობელს, რომლის სატრანსპორტო საშუალებასაც აღმოაჩნდება ისეთი ხარვეზი, რაც ეწინააღმდეგება დადგენილ მოთხოვნებს, მიეცემა გონივრული ვადა (ერთთვიანი) პრობლემის მოსაგვარებლად. პირველი ფასიანი (60-100 ლარი) ტექნიკური ინსპექტირების შემდეგ, მანქანის მფლობელს, მეორედ, ერთი თვის განმავლობაში, ვიზიტი უფასოდ შეეძლება.

ალა ისპირიანი

სანთელი



თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელები ნიკოლოზ ცაგარეიშვილი, ფრიდონ მაჭარაძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თბილისის „დინამოს“ ოსტატ-ფეხბურთელთა გუნდის ღირსეული წევრი, შესანიშნავი ოჯახის მამა და ბაბუა, შეუდარებელი მოყვასი და მეგობარი

იური

დიმიტრის ძე კურტანიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

გამოსვენება 14 XII, 14 სთ.

განცხადება

თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის კოოპერაციულ უბნებში ჩატარებულ საარჩევნო კრებებზე არჩეული იქნა 51 წარმომადგენელი. არჩეულ წარმომადგენელთა და მათ სათადარიგო პირთა სია გამოკრულია კოოპერატივის ოფისში: ლილო, იუმაშევის ქ. 51, ტელ. 2 72 99 04

კოოპერატივის გამგეობა

ინფორმაცია

2018 წლის 7 თებერვალს 16:00 საათზე, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, მის: ქ. ონი, დავით აღმაშენებლის მოედანი № 1, გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგლოლო-ჭიორა-ღების საავტომობილო გზის მე-12 კმ-ზე მდ. ჩვეშურაზე სახიდე გადასასვლელის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge
- ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, მის ქ. ონი, დავით აღმაშენებლის მოედანი #1.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141, ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

ინფორმაცია

2018 წლის 6 თებერვალს 14:00 საათზე, ქალაქ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში, მის: ქალაქი სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6, გაიმართება საერთაშორისო მნიშვნელობის სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მე-8 კმ-ზე მდინარე თხილნარაზე სახიდე გადასასვლელის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge
- ქალაქ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში. მის: რესპუბლიკის ქ. №6-ში.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141, ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

რედაქცია

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3.

293-13-34; 599 797679

ელონ მასკი გვირაბებში რევოლუციის მოხდენისთვის ემზადება

თითქოს ელექტრომობილების წარმოება და მარსისკენ კოსმოსური ხომალდების გაშვება საკმარისი არ იყო - ელონ მასკს ახალი პროექტი აქვს, რომელიც გვირაბების სრულიად ინოვაციური ვერსიის შექმნას ითვალისწინებს.

მასკის კომპანიამ, რომელსაც The Boring Company („მოსაწყენი კომპანია“) ეწოდება, გამოაქვეყნა რუკა, რომელიც ლოს-ანჯელესში გვირაბების სატრანსპორტო სისტემის პირველად მარშრუტს ასახავს. ამ გზით კი, მოხდება ქალაქის საცობებისგან განთავისუფლება და ავტომობილების დანიშნულების ადგილას გაცილებით უფრო სწრაფად გადაყვანა.

მასკის ინოვაციურ სატრანსპორტო სისტემაში, ავტომობილები გვირაბში ჩასვლის შემდეგ მოთავსდებიან სპეციალურ პლატფორმაზე, რომელიც მოძრაობას 200-250 კმ/სთ-ის სიჩქარით დაიწყებს. მეტროს სისტემისგან განსხვავებით, მისი გადაადგილება A პუნქტიდან B პუნქტში პირდაპირ, შეუჩერებლად მოხდება.

CNNMoney-ის მიხედვით, მიწისქვეშა გვირაბების მშენებლობა და მეტროსადგურების დამატება უკვე წარსულს ჩაბარდა, რადგან ეს მილიარდობით დოლართან არის დაკავშირებული. ამასთან, დიდი თანხებია საჭირო არსებული მეტროსადგურების შენარჩუნებისა და მათი განახლებისთვის. ელონ მასკის პროექტი კი უფრო ნაკლებ თანხებს, სწრაფ გადაადგილებასა და ქალაქის საცობებისგან განტვირთვას ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ მასკის პროექტი მხოლოდ ლოს-ანჯელესს არ მოიცავს. The Boring Company-იმ მთავრობისგან მერილენდში 16.25-კილომეტრიანი გვირაბის გაყვანის უფლება მიიღო. სავარაუდოდ, კომპანია, ჩიკაგოს ცენტრისა და საერთაშორისო აეროპორტის დასაკავშირებლად კიდევ ერთ ნებართვას მიიღებს.



ლოს-ანჯელესის მერიისა და Boring Company-ის განცხადებით, კონცეფციის რეალურად განხორციელებისთვის საზოგადოების მხარდაჭერა არის საჭირო. გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი: თუკი მოძრავი პლატფორმა ავტომობილს დანიშნულების ადგილას მიიყვანს, მან ავტომობილი გვირაბიდანაც უნდა ამოიყვანოს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი გვირაბის ამოსასვლელთან საცობი იქნება, შესაბამისად, პრობლემა შეიქმნება უშუალოდ მიწისქვეშა სისტემაშიც.

აღნიშნული სახის პრობლემა მეტროს შემთხვევაში არ არსებობს, რადგან მეტროში ჩასხდომისა და გადმოსვლისთვის ადამიანებისათვის სივრცე სპეციალურად არის განკუთვნილი. შესაბამისად, The Boring Company-ის გეგმების განხორციელებისათვის, შემდეგ ეტაპზე პროექტთან დაკავშირებული, უფრო მეტი კონკრეტიკა იქნება საჭირო.

CNNMoney

◎ ინტერნეტიდან

ლამაზთან ერთად - ჭკვიანიც

ლამაზთან ერთად ნამეტნავად ჭკვიანიცაა მთელს დუნიაზე პოპულარული რუსი სუპერმოდელი ნატალია ვოდიანოვა, რომელიც მრავალი მისი კოლეგისგან განსხვავებით, რუსული სპორტის ბნელ ლაბირინთებში არასოდეს ერევა და არც რუსეთის სხვადასხვა ნაკრებების თილისმად აცხადებს თავს.



ნატალია მის ასეთ ინერტულობას მარტივად და ლოგიკურად ხსნის და ამბობს, გარდა იმისა, რომ საკუთარ სამოდელო ბიზნესშიც საქმეები თავზე საყრელად აქვს, უბრალოდ არ სჭირდება ფსევდოქომაგობით პოპულარობის მოხვეჭა და ეს არნახული სიამოვნება მზადაა, სხვებს გადაულოცოს.

მიუხედავად სუპერწარმატებულობისა, ნატალია ვოდიანოვა არც პოლიტიკურ ამბებში ერევა და არაერთხელ უთქვამს უარი კრემლში დანიშნულ მიღებებსა და ბანკეტებში მონაწილეობაზე. მართალია,რამდენჯერმე ავადსახსენებელ პუტინთანაც გადაეკვეთა გზები, მაგრამ ნინო ბურჯანაძეობას ამ ქალს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ.

როსტომ რაჭველიშვილი

ბუკინისტი იყიდის:

მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს — 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს — 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოცბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

გასაცინებელი ა(მ)ბები

მატარებელში

საგარეუბნო მატარებლის ვაგონში ორი ქალი ზის. ერთს მუხლებზე უზის გოშია. მეორე ქალი, რომელიც გოშიას ამრეზილი უმზერს, პირველ ქალს მიმართავს:

— თუ შეიძლება, ეგ თქვენი გოშია ძირს დასვით. ზურგზე უვე რწყილებსა ვგრძნობ.

გოშიას მფლობელი ქალი სასწრაფოდ სვამს ძაღლს ძირს:

— აქ ივჯექი, კიკი, და ფეხი არ მოიცვალო. ამ ქალს რწყილი ახვევია.

სტუმარი

კოვილსკის სოფლიდან შორეული ნათესავი ეწვია.

— მხოლოდ ორი დღით ჩამოვედი სამსახურის საქმეზე, — გაიფრთხილა სტუმარმა მასპინძელი.

თუმცა დღეები მიფრინავდნენ, მაგრამ სტუმარი წასვლას არ ჩქარობდა.

კოვილსკიმ აღარ იცოდა, რა ექნა, და ბოლოს გადაწყვიტა, რომ ეთქვა, დიდხანს გაჩერებულ სტუმარზე ჩვენში იტყვიან ძველი გააგდოო. თანაც კიდევ ცოლ-შვილი, ალბათ, უკვე დაგეძებს.

— მართალი ხარ, — მიუგო სტუმარმა, — მივწერ, ერთი კვირით მაინც ჩამოვიდნენ თქვენს მოსანახულებლად.

დამოკლეს მახვილი

სიკვდილის წინ ქმარმა ცოლის ხელი ჩაბღუჯა და უთხრა:

— ხომ ხედავ ვკვდები. ახლა მაინც უნდა მოგიხადო ბოდიში იმისთვის, რომ ხშირად სულ უსაბამოდ ვეჭვიანობდი. ისე, მართალი გითხრა, ძალიან მინდა, რომ გულწრფელად მითხრა, მართლა მღალატობდი თუ არა?



— გეტყოდი, მაგრამ ვერა ვბედავ, — მიუგო ცოლმა.

— ვითომ რის თქმა გინდა მაგით?

— რის თქმა მინდა და, ხშირია შემთხვევები, როცა ბევრი მომაკვდავი გამოკეთებულა, აღარ მომკვდარა.

ფსიქიკა

ფსიქიატრიულში ბიჭუნა მიჰყავთ გონებრივი განვითარების შესამოწმებლად.

ექიმი რამდენიმე შეკითხვით მიმართავს გამოსაცდელ ბიჭუნას.

— რამდენი ყური აქვს კატას?

— ორი, — უპასუხებს ბიჭი.

— თათი რამდენი აქვს?

— ოთხი.

— ყვირილით როგორ ყვირის კატა?

ბიჭი იქვე მდგომ მამისკენ მიტრიალდება:

— მამა, ნუთუ ამ კრეტინს თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ უნახავს კატა?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6673; ევრო - 3.1466;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5678;
100 რუბლი - 4.5043; თურქული ლირა - 0.6958;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5698;
1000 სომხური დრამი - 5.5030.

ამინდი 13 დეკემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -3, დღე +13
მთიანი რაიონები - ღამე -10, დღე +12
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +1, დღე +18
მთიანი რაიონები - ღამე -4, დღე +12
თბილისი: ღამე -1, დღე +10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge